

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities**

**XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია  
XV Faculty Scientific Conference**

**მიძღვნილი  
აკადემიკოს კონტე წერეთლის  
100 წლის იუბილესადმი**

**DEDICATED TO THE 100<sup>TH</sup> ANNIVERSARY  
OF ACADEMICIAN KONSTANTINE TSERETELI**

**თეზისები/ABSTRACTS**

**ივლისი 5-6 • July 5-6  
თბილისი • 2021 • Tbilisi**

### **საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**

პროფესორი **დარეჯან გარდავაძე**

ასოცირებული პროფესორი **მარიამ ჩაჩიბაია**

ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ნავროზაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი **სოფიო თოთიბაძე**

### **Organizing Committee:**

Professor **Nana Gaprindashvili**

Professor **Darejan Gardavadze**

Assoc. Professor **Mariam Chachibaia**

Assoc. Professor **Ekaterine Navrozashvili**

Doctor of Philology **Sopio Totibadze**

### **რეგლამენტი:**

მოსხენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოსხენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა ქართული

### **Time Limit:**

Presentation at the plenary session – 20 minutes

Presentation at the section meeting – 15 minutes

Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

ძირნაკლი სიტყვაფორმები ქართულში. II  
ROOT-DEFECT WORD FORMS IN GEORGIAN LANGUAGE. II

რევაზ აბაშია

Revaz Abashia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სიტყვაფორმები, ძირნაკლი, აფიქსები  
**Keywords:** Word forms, Root-defect, Affixes

ქართულ ენაში დასტურდება ერთგვარად უცნაური წარმოების სიტყვაფორმები (ფუძეები), რომლებშიც საწარმოებელ ელემენტებად მხოლოდ აფიქსებია წარმოდგენილი, ხოლო ძირი არა ჩანს.

რამდენიმე ძირნაკლი ფუძე გამოავლინეს არნოლდ ჩიქობავამ (ჩიქობავა, 1938) და ბაქარ გიგინეიშვილმა (გიგინეიშვილი, 2016). ასევე, ბოლო წლებში წარმოდგენილი იყო სხვა ძირნაკლი სიტყვა-ფორმებიც (აბაშია, 2017; 2021):

1. მ-და-ბ-ალ-ი
2. უ-და-რე-ს-ი
3. ა-ის-ი
4. და-ის-ი
5. გა-რე
6. გა-რე-ულ-ი
7. გა-რე-გან-ი
8. გა-რე-შე
9. გა-რ-ს-ი
10. გა-რე-მო
11. გა-რ-შე-მო
12. გა-რე-წარ-ი
13. მი-და-მო
14. ში-ნ, ში-ნა
15. ში-ნა-ურ-ი
16. ში-გ, ში-გა, შიგ-ნ-ით
17. ში-ნა-გან-ი
18. ს-ულ
19. წარ-ს-ულ-ი
20. ნა-ს-ულ-ი, მო-ს-ულ-ი...

ვფიქრობთ, ამ რიგის სიტყვაფორმებში უნდა ვიგულისხმოთ ასევე შემდეგი ძირნაკლი ფუძეები:

21. ზე-მო; ზე-მო-ურ-ი; ზე-ვ-ით; ზე-და; სა-ზე-და-ო; ზე-ნა
22. უ-ზე-ნა-ე-სი
23. ზე-გარდ-მო

- 24. ზე-გან-ი
- 25. ზე-რე (დიალ.); ზე-რე-ლე
- 26. ზე-ნა-რი
- 27. წი-ნ; წი-ნა; წი-ნა-შე; წი-ნა-ს-წარ
- 28. გა-მო; გა-მო-ის-ობ-ით...

საანალიზო ფუძეებში, ჩვენი აზრით, არსად დასტურდება ძირი, მაგრამ, ბუნებრივია, არქეტიპებად რეკონსტრუირებულ ფორმებში სათანადო ძირის დაშვება კანონზომიერია. ვფიქრობთ, ასეთად ძირითადად ვალ ზმნური ძირი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის დაკარგვის შედეგია სწორედ ეს ძირნაკლი ფუძეები.

წარმოდგენილ ფუძეთა სხვადასხვა აფიქსებად სეგმენტაციისა და სათანადო ძირის უქონლობისა და რეკონსტრუქციის მართებულობის შესახებ ვრცელი მსჯელობა მოხსენებაში იქნება გათვალისწინებული.

**ლიტერატურა:**

**გიგინეიშვილი ბ.** (2016), ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა“.

**ჩიქობავა ა.** (1938), ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი: „სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობა“.

An unusual production word forms (stems) are confirmed in Georgian language, where production elements are presented only as affixes, but the root is not visible.

Several root-defect stems were identified by Arnold Chikobava (Chikobava, 1938) and by Bakar Gigineishvili (Gigineishvili, 2016). Also, in last years several root-defect word forms were presented (Abashia, 2017; 2021):

- 1. m-da-b-al-i (low)
- 2. u-da-re-s-i (less)
- 3. a-is-i (Sunrise)
- 4. da-is-i (Sunset)

5. ga-re (Outside)
6. ga-re-ul-i (Wild)
7. ga-re-gan-i (External)
8. ga-re-sh-e (Without)
9. ga-r-s-i (Membrane)
10. ga-re-mo (Environment)
11. ga-r-she-mo( Around)
12. ga-re-tsar-i (Immoral)
13. mi-da-mo (Vicinity)
14. shi-n, shi-na (Home)
15. shi-na-ur-i(Domestic)
16. shi-g, shi-ga, shig-n-it (Inside)
17. shi-na-ga-ni (Internal)
18. s-ul (All)
19. tsar-s-ul-i (Past)
20. tsa-s-ul-i (Went), mo-s-ul-i (Come)...

We propose that in this series of word forms we should imply the following root-defect stems

21. ze-mo; ze-v-it; ze-da; ze-na (Upper) u-ze-na-e-si (Supreme)
22. u-ze-na-e-si (God)
23. ze-gard-mo (Divine)
24. ze-gan-i (Plateau)
25. ze-re; ze-re-le (Superficial)
26. ze-tsa-ri(Sheet)
27. tsi-n (Forward); tsi-na (In front of); tsi-na-she (Before); tsi-na-s-tsar (Beforehand)
28. ga-mo; ga-mo-is-ob-it (Because)...

In our opinion, in analytical stems, roots are not confirmed, but proper root access in forms reconstructed as archetypes, is natural. We also think, such a root is the Val root of verb, loss of which resulted in the root-defect stems.

Segmentation of the presented stems into different affixes and the lack of proper root and the validity of the reconstruction will be considered in the paper.

**References:**

- Chikobava, A.** (1938), Chan-Megrelian-Georgian Comparative Dictionary, Tbilisi: “USSR Sci. Acad. Georgian Branch Publishing”.
- Gigineishvili, B.** (2016), Historical-Etymological Dictionary of the Georgian Language (A-M), Tbilisi: “Publishing House of the Georgian National Academy of Sciences”.





**გამეორება მხატვრულ ნაწარმოებში  
და მისი გადმოცემა თარგმანში**

**REPETITIONS IN A LITERARY TEXT AND WAYS  
OF TRANSFERRING THEM IN THE PROCESS  
OF TRANSLATION**

**მარინე ალექსიძე**

**Marine Aleksidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** გამეორება, სტილისტური ხერხი, ექსპრესიულობა, სამეტყველო დახასიათება.

**Keywords:** Repetition, stylistic figure, expressiveness, speech characteristic.

განმეორების თავისებურებას, რომლის გამო ავტორები ფართოდ იყენებენ ამ ხერხს, წარმოადგენს მისი სტილისტური მრავალფუნქციონალობა და ფართო შეთანხმების შესაძლებლობა სხვა სტილისტურ ხერხებთან. სტილისტური ფიგურა „განმეორება“ ზოგჯერ ხდება ამა თუ იმ ავტორის ინდივიდუალურ-მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც გადადის ერთი ნაწარმოებიდან მეორეში. განმეორება, როგორც სტილისტური კატეგორია, წარმოადგენს თ. დოსტოევსკის სტილური სისტემის განუყოფელ ნაწილს, მხატვრულად გამართლებულს ავტორის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში და მისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე. განმეორებები უშუალოდ უკავშირდება თ. დოსტოევსკის ინდივიდუალური ხელნერის „სტილის შემქნელ ბირთვს“ და გამომდინარეობს მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ბუნებიდან. განმეორებების ხასიათში, მათ რიცხობრივ გამოყენებაში, სტრუქტურულ და სტილურ თავისებურებებში განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება თხრობის მღელვარება და დაძაბულობა. თ. დოსტოევსკის შემოქმედებაში განმეორებები ექსპრესიულობის სხვა ხერხებთან ერთად წარმოადგენს მხატვრული ფორმის შინაარსობრივ ელემენტებს.

წარმოდგენილი კვლევა ჩატარებულია თ. დოსტოევსკის რომან „ძმები კარამაზოვების“ და ქართულ ენაზე მისი თარგმანების მასალაზე და მოწოდებულია გააფართოვოს წარმოდგენა განმეორებაზე, როგორც ეფექტურ სტილისტურ საშუალებაზე, მხატვრულ ნაწარმოებში მისი სახეობებისა და ფუნქციების თვალსაზრისით და, ასევე, მისი მეორე ენაზე გადმოტანის თვალსაზრისით. რომან „ძმები კარამაზოვებში“ განმეორებებს, როგორც პერსონაჟის სამეტყველო დახასიათების ერთ-ერთ საშუალებას, აქვს ღრმად ინდივიდუალური ხასიათი. განმეორებები ასახავს გმირების სულიერ მდგომარეობას და ხშირად მათი აზროვნების თავისებურებას.

ანალიზის პროცესში გამოვლინდა თ. დოსტოევსკის რომან „ძმები კარამაზოვებში“ განმეორებების ქართულად თარგმანის ძირითადი საშუალებები. განმეორებები ატარებენ მნიშვნელოვან პრაგმატულ, სოციო-ლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ინფორმაციას პერსონაჟების მდგომარეობაზე, ახასიათებენ თანამოსაუბრეების ურთიერთდამოკიდებულებას და კომუნიკაციური სიტუაციის სხვა შე-

მადგენელ ელემენტებს, ამიტომ მათი გადმოცემა თარგმანის დროს იპყრობს სერიოზულ ყურადღებას და ოპტიმალური მთარგმნელობითი გადაწყვეტილებების მოძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადეკვატურობის მიღწევას თარგმანში. ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევაში ორიგინალისა და თარგმანის განმეორებების სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს, განპირობებულია მთარგმნელის მიერ ტექსტის ინტერპრეტაციის სპეციფიკით და ტიპოლოგიური სხვადასხვა ენის – რუსულისა და ქართულის – სტილისტური შესაძლებლობებით.

### **ლიტერატურა:**

- Kazaeva, L.** (2006) *Vidyi i funktsii povtorov v tekstah poeticheskogo i hudozhestvennogo zhanra / Vestnik Yugorskogo gosudarstvennogo universiteta*, Vyipusk 5. S. 50-53.
- Shmelev, D.** (2019) *Sintaksicheskaya chlenimost vyiskazyvaniya v sovremennom russkom yazyike*. URSS. 150 c. ISBN 978-5-484-01404-0.
- Tannen, D.** *Talking Voices: Repetition, Dialogue, and Imagery in Conversational Discourse (Studies in Interactional Sociolinguistics)*, 2<sup>nd</sup> Edition, Cambridge England; New York: Cambridge University Press. 1989.

The peculiarity of the repetition, which allows the authors to widely apply this technique, is its stylistic multifunctionality and the possibility of wide compatibility with other stylistic means. The stylistic figure “repetition” sometimes becomes one of the characteristic features of the individual artistic style of one or another author, passing from one of his works to another. Repetition as a stylistic category is an integral feature of F.M. Dostoevsky, artistically justified in his works of different genres and at different stages of his work. Repetitions are directly related to the “style-forming core” of Dostoevsky’s individual handwriting and stem from the nature of the writer’s creative individuality. In the nature of repetitions, in their quantitative use and stylistic originality, the excitement and tension of the narrative are manifested with particular vividness. Along with other expressive means, repetitions in Dostoevsky’s work are “meaningful elements of the artistic form”.

This study was conducted based on the novel by F. Dostoevsky “The Brothers Karamazov” and is intended to expand the understanding of stylistic repetition as a vivid means of expression in a work of art in terms of its types and functions, as well as methods of translation. In the novel «The Brothers Karamazov», repetitions as one of the means of speech characterization of characters are deeply individual in nature. Reflecting the state of mind of the heroes, they often reflect the originality of their thinking.

The analysis revealed the main ways of translating repetitions in the novel “The Brothers Karamazov” into Georgian. Repetitions carry significant pragmatic, sociolinguistic and psycholinguistic information about the state of the characters, characterize the relationship of the interlocutors and other components of the communicative situation, therefore, their transfer during translation requires serious attention to them and the choice of optimal translation solutions that contribute to the achievement of adequacy in the translation text. The discrepancy between the structures of repetitions of the original and the translation is due to the specifics of the interpretation of the text by the translator, as well as the stylistic possibilities of typologically different languages – Russian and Georgian.

## **References:**

- Kazaeva, L.** (2006) Vidy i funktsii povtorov v tekstah poeticheskogo i hudozhestvennogo zhanra / Vestnik Yugorskogo gosudarstvennogo universiteta, Vyipusk 5. S. 50-53.
- Shmelev, D.** (2019) Sintaksicheskaya chlenimost vyiskazyvaniya v sovremennom russkom yazyike. URSS. 150 c. ISBN 978-5-484-01404-0.
- Tannen, D.** Talking Voices: Repetition, Dialogue, and Imagery in Conversational Discourse (Studies in Interactional Sociolinguistics), 2<sup>nd</sup> Edition, Cambridge England; New York: Cambridge University Press. 1989.

სინესთეზია და მისი ენობრივი არეკვლა  
ლიტერატურულ ნიმუშებზე დაყრდნობით

SYNESTHESIA AND ITS LINGUISTIC REFLECTION  
IN THE WORKS OF LITERATURE

მარინა ანდრაზაშვილი

Marina Andrazashvili

ნატალია ბასილაია

Natalia Basilaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სინესთეზია, სინესთეტი-პოეტები,  
კონსტელაცია თრაკლი|ცვეტაევა

Keywords: Synesthesia, constellation Trakl||Tsvetaeva

ფერები ობიექტური სამყაროს შემადგენელი ნაწილია და, ბუნებრივია, ინდივიდი რამდენადმე სუბიექტურად ახდენს მათ რეფლექტირებას, შესაბამისად კი, მათ მეტ-ნაკლებად თავისებურ კატეგორიზირებასა და ვერბალიზებას. შესაძლოა, ზოგჯერ შედეგი რეალობის ადეკვატურიც აღმოჩნდეს, სხვა შემთხვევაში კი ის ნორმიდან გადახრად კვალიფიცირდებოდეს. გავრცელებული ხერხია მხატვრულ ლიტერატურაში (მაგ., სიმბოლისტებთან) ფერთა გამიზნულად გადააზრება, ანუ მათი გამოყენება ფიგურატიული, სტილური ხერხის სტატუსით რეალობის გამუქება-დამძიმების ან, პირიქით, შერბილება-გალამაზების მიზნით; მაგრამ ისიც დასაშვებია, რომ ყოფაში იმავე ხერხს მიმართავდეს ენის რიგითი, ორდინარული მომხმარებელიც.

ზემოაღწერილისგან არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგიაში სინესთეზიის სახელით ცნობილი ფენომენი, რომელიც სულ სხვა გენეზისისაა და გამოვლენის თვალსაზრისითაც კომბინაციათა სიმრავლით გამოირჩევა, დავუშვათ: სინთეზი სუნისა და ფერისა, შეხებისა და სუნისა, ფერისა და ბგერისა და ა.შ. გენეზისის მიხედვით ფსიქოლოგიაში აღწერენ: ა) გენეტიკურ/მემკვიდრეობით სინესთეზიას, რომელიც, წესისამებრ, ადრეულ ასაკშივე გამოვლინდება ბავშვის მენტალურ ჩამოყალიბებასთან ერთად; ბ) მეორეულს/შეძენილს, ანუ გამონვეულს ცხოვრებაში ემოციურად განცდილის, გადატანილი ფიზიკური თუ ფსიქიკური ტრავმების შედეგად; გ) სუგესტიურს, აღძრულს მენტალურ დონეზე სინესთეზიის თემაზე წაკითხული ფსიქოლოგიური ლიტერატურის ზეგავლენის შედეგად; დ) მენტალურ-ინტელექტუალუს, გამონვეულს რამდენიმე ინტელექტუალური სფეროს (ფერწერის, მუსიკის, ლიტერატურის, არქიტექტურის და ა.შ.) ერთნაირად მაღალ დონეზე ფლობის შედეგად.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია, ყოველივე ზემოგანხილულის ფონზე ყურადღება შევაჩეროთ ფერისა და მატრეციალური სამყაროს ფენომენთა სინთეზზე და აღვწეროთ ის ენობრივ პლანში, ერთი მხრივ, გერმანულენოვანი, მეორე მხრივ კი, რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან შერჩეულ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით (თრაკლი || ცვეტაევა); წარმოვაჩინოთ განსხვავე-

ბა ფერთა უბრალოდ მეტაფორულ ხმარებასა და სინესთეზი-მწერლის „ეგოს“ პრიზმში მათი გარდატეხის პროცესს შორის; განვასხვაოთ „ქეშმარიტად“ სინესთეტი-მწერალი, ლიტერატურათმცოდნე-მკვლევრის მიერ ამ მარკერით „ნიშანდებულისგან“.

ზემოაღწერილის ფონზე შევეცადეთ, კონსტელაციაში: თრაკლი||ცვეტაევა ჩამოგვეყალიბებინა სინესთეტ-მწერალთა საერთო მახსიათებლები, განურჩევლად თვით ფენომენის ეტიოლოგიისა: ა) პიროვნულ პლანში – ფსიქიკური გადახრები, დეპრესიული აშლილობები, სწრაფვა ნარკოტიკებისადმი, ინცენსტიური მიდრეკილები, სუიციდის მცდელობები და მათი მიყვანა თვითმკვლელობამდე; ბ) ენობრივ პლანში – ციფრების, ანბანის ასოების, გეომეტრიული სხეულებისა და ნივთიერებების, სიტუაციებისა და თვით პირთა ასოცირებასაც კი ფერთან და ამის ვერბალიზება (ზმნის, სახელისა და ზედსართავის კლასში) ოკაზიონალური ფორმების გამოყენებით, სემანტიკურად შეუსაბამო ატრიბუტიანი ნომინალური ფრაზებისა და არასებული ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების შეთხზვა, არაზმნიზედურ ფორმათა გამოყენება ადვერბიალური ფუნქციით და ა.შ.

### **ლიტერატურა:**

**Buschbeck, Erhard** (1917). Georg Trakl. Berlin: Verlag Neue Jugend.

**Duffy, Patricia** (2003). Jeder blaue Buchstabe duftet nach Zimt – Wie Synästhetiker die Welt erleben. Goldmann.

**Trakl, Georg Gedichte:** [https://gedichte.xbib.de/Trakl\\_gedicht\\_An+Novalis.htm](https://gedichte.xbib.de/Trakl_gedicht_An+Novalis.htm)

**Trakl, Georg** (1915). Sebastian im Traum. Leipzig: Kurt Wolff.

**Зубова, Л. В.** (1989). Поэзия Марины Цветаевой: Лингвистический аспект. Л.: ЛГУ.

**Мнухин, Л. А.** (2012). Марина Ивановна Цветаева. Московская энциклопедия. Лица Москвы. Т. 5. М.: Изд. центр «Московведение».

**Цветаева, М.** (1984). Сочинения. В 2-х т. Т.1. Стихотворения; Поэмы; Драматические произведения. М.: Худ. лит.

Colours form part of the objective world; therefore, it is natural that they are reflected by an individual more or less subjectively. Colours are categorized and verbalized in a peculiar way. In some cases, the result is adequate to reality, while in other cases, there are deviations from the norm. It is a widespread device in fiction literature (for example, with Symbolists) to deliberately re-evaluate colours i.e. to use them figuratively, as stylistic devices in order to aggravate or embellish reality. An ordinary user of language may also apply this device.

An essentially different phenomenon, described in psychology as synesthesia, is of a completely different origin. It is distinguished by a multitude of combinations, for instance: synthesis of smell and colour, tactile sensation and smell, colour and sound and so on. Based on the genesis, psychologists describe a) genetic/hereditary synesthesia, which is revealed at an early age, alongside the child's mental development; b) secondary/acquired, i.e. caused by the emotional state, physical or psychic trauma; c) suggestive, aroused on the mental level, as a result of reading psychological literature on the topic of synesthesia.

The paper focuses on the synthesis of colour and the phenomena of the material world, analysing it on the language plane, based on the illustrative material from German and Russian fiction literature (Trakl, Tsvetaeva). The research aims to outline differences between the mere metaphoric use of colours and the process of their transformation in the prism of the "ego" of a synesthetic writer. We aim to distinguish a "genuinely" synesthetic writer from the one marked as such by a literary critic.

Based on the constellation Trakl ||Tsvetaeva, we have outlined the common features of synesthetic writers, without regard to the aetiology of the phenomenon itself: a) on the personal plane – psychic disorders, depression, drug addiction, incestuous inclinations, suicide attempts; b) on the language plane – association of numbers, characters of the alphabet, geometric figures, substances, situations and people with colour; verbalization of these associations by means of occasional forms (in the verb, noun and adjective); composition of semantically inappropriate attributive



nominal phrases and non-existent collocations with functional verbs; the use of non-adverbial forms in the adverbial function and so on.

### **References:**

**Buschbeck, Erhard** (1917). Georg Trakl. Berlin: Verlag Neue Jugend.

**Duffy, Patricia** (2003). Jeder blaue Buchstabe duftet nach Zimt – Wie Synästhetiker die Welt erleben. Goldmann.

**Trakl, Georg Gedichte:** [https://gedichte.xbib.de/Trakl\\_gedicht\\_An+Novalis.htm](https://gedichte.xbib.de/Trakl_gedicht_An+Novalis.htm)

**Trakl, Georg** (1915). Sebastian im Traum. Leipzig: Kurt Wolff.

**Зубова, Л. В.** (1989). Поэзия Марины Цветаевой: Лингвистический аспект. Л.: ЛГУ.

**Мнухин, Л. А.** (2012). Марина Ивановна Цветаева. Московская энциклопедия. Лица Москвы. Т. 5. М.: Изд. центр «Московведение».

**Цветаева, М.** (1984). Сочинения. В 2-х т. Т.1. Стихотворения; Поэмы; Драматические произведения. М.: Худ. лит.



ისტორიკოსი ბენ უაიდერი  
HISTORIAN BEN WEIDER

თამარ ანთაძე  
Tamar Antadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბენ უაიდერი  
Keywords: Ben Weider

წინამდებარე მოხსენება ეძღვნება ცნობილ მკვლევარსა და მწერალს, ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელსა და პრეზიდენტს, მწვრთნელ ბენ უაიდერს. ბენ უაიდერი დაიბადა 1923 წლის 1 თებერვალს ქალაქ მონრეალში (კანადა), პოლონელი ებრაელების ოჯახში. ოჯახის სიდუხჭირის გამო უაიდერმა ვერ შეძლო სკოლის დამთავრება და ადრეული ასაკიდან მუშაობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი კანადის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. ომის დასრულების შემდეგ უაიდერი სწავლას დაუბრუნდა და თავდაპირველად არქიტექტორის კარიერა აირჩია, მაგრამ თავისი წარმოშობის გამო საარქიტექტორო ფირმებისგან სამსახურზე უარი მიიღო. ამავე დროს, იგი ადრეული ასაკიდანვე გატაცებული იყო სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ცხოვრების მიზნად აქცია. 1946 წელს უაიდერმა საკუთარ ძმასთან, ჯო უაიდერთან, ერთად დააარსა ბოდიბილდინგის საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Body Building, IFBB). დღეისათვის IFBB მსოფლიოში წამყვან სპორტულ ორგანიზაციად იქცა და 170-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს; 1998 წლიდან ის საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა. უაიდერმა ასევე დააარსა რამდენიმე წამყვანი სპორტული ჟურნალი (Muscle & Fitness, Shape, Men's Fitness და ა.შ.) და საერთაშორისო შეჯიბრება, მათ შორის მისტერ ოლიმპია (Mister Olympia) და მისტერ სამყარო (Mister Universe), რომლებიც დღეისათვის საკმაოდ პრესტიჟულია სპორტის სამყაროში. სამოცწლიანი კარიერის განმავლობაში უაიდერმა სპორტსმენთა რამდენიმე თაობა გამოზარდა, მათ შორის ისეთი სუპერვარსკვლავებიც, როგორებიც არიან არნოლდ შვარცნეგერი, ლუი ფერინიო და ფრანკო კოლომბო. სპორტის გარდა, ბენ უაიდერი ისტორიის დიდი მოყვარულიც იყო და განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ფენომენს. მან სტენ ფორშუფვუდთან ერთად (შვედი სტომატოლოგი) საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „მონამვლის ჰიპოთეზას“ და ამ საკითხს რამდენიმე წიგნი და სტატია მიუძღვნა. უაიდერის ნამუშევრებს შორის ყველაზე წარმატებული და მნიშვნელოვანი წიგნებია „მკვლევლობა წმ. ელენეს კუნძულზე“ (ფორშუფვუდთან ერთად, 1978, 1995) და „ნაპოლეონის მკვლევლობა“ (დევიდ ჰეპგუდთან ერთად, 1982), რომლებიც 40-ზე მეტ ენაზე ითარგმნა და რამდენიმე მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა მთელ

მსოფლიოში თავისი ვარაუდის დასასაბუთებლად უაიდერმა შეიძინა ნაპოლეონის რამდენიმე თმის ღერი, რომლებზეც ევროპისა და ამერიკის წამყვან ლაბორატორიებში ჩატარდა ტოქსიკოლოგიური ტესტები. ამ ტესტებმა დარიშხნის დიდი შემცველობა გამოავლინეს. ამაზე დაყრდნობით, უაიდერმა ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა არა კუჭის კიბოთი, როგორც ეს ისტორიულ მეცნიერებაშია მიღებული, არამედ მიზანდასახული მოწამვლის შედეგად. მისი ვარაუდით, შეთქმულება ფრანგი როიალისტების მიერ მომზადდა და ნაპოლეონთან დაახლოებული პირის, შარლ ტრისტან მონტოლონის, მიერ განხორციელდა 1816-1821 წლებში. ამ თეორიამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ისტორიულ წრეებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც დღემდე მიმდინარეობს გამძაფრებული დავა ამ საკითხზე; ფრანგი მეცნიერების უმეტესობა უარყოფს უაიდერის თეორიას. 2008 წლის სექტემბერში უაიდერმა გამოსცა თავისი უკანასკნელი ნაშრომი „ომები ნაპოლეონის წინააღმდეგ. ნაპოლეონის ომების მითის გაბათილება“, რომელშიც მან სცადა ნაპოლეონის პოლიტიკის გამართლება და 1805-1815 წლებში წარმოებულ ომებზე პასუხისმგებლობა რეაქციულ ევროპას დააკისრა. ისტორიული ნამუშევრების გარდა, უაიდერი ასევე ცნობილი იყო ნაპოლეონისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კოლექციით, რომელსაც თითქმის 50 წლის განმავლობაში აგროვებდა. ამ კოლექციაში შედის როგორც ნაპოლეონის პირადი ნივთები, ისე უამრავი ქანდაკება, ნახატი და წიგნი. 2008 წელს უაიდერმა ეს უნიკალური კოლექცია საჩუქრად გადასცა მონრეალის ხელოვნებათა მუზეუმს, სადაც შეიქმნა ნაპოლეონისადმი მიძღვნილი სპეციალური გალერეა. უაიდერის თაოსნობით დაარსდა ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც დღეისათვის მოიცავს ასეულობით წევრს მსოფლიოს 43 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც, და მისი ღირსეული წევრები არიან: დიმიტრი ცისკარიშვილი, მერაბ კალანდაძე, ივანე მენტეშაშვილი, ინესა მერაბიშვილი. საზოგადოების თაოსნობით, ყოველ წელს ტარდება ისტორიული კონგრესები და შეხვედრები; რიგით მესამე ასეთი კონგრესი ორგანიზებულ იქნა 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ნაპოლეონის საზოგადოების თაოსნობით. საფრანგეთის ისტორიის

კვლევაში შეტანილი ღვაწლის აღსანიშნავად საზოგადოება ყოველწლიურად გასცემს პრესტიჟულ ორდენს (Legion of Merit) და პრემიას. უაიდერი ასევე სახელგანთქმული იყო ფილანთროპიული მოღვაწეობით და თავისი ცხოვრების მანძილზე მილიონობით დოლარი მოახმარა სხვადასხვა საქველმოქმედო და სამეცნიერო პროგრამას. 1990 წელს მან 2000000-დოლარიანი გრანტი გადასცა ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ნაპოლეონისა და საფრანგეთის ისტორიის კვლევით ინსტიტუტს, რომელიც დღეისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვან ისტორიულ ცენტრად იქცა. ინსტიტუტს გააჩნია ნაპოლეონისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკა და ყოველწლიურად სტუდენტებზე გასცემს ბენ უაიდერის სახელობის სტიპენდიებს. თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში უაიდერმა მოიპოვა 60-ზე მეტი ჯილდო, მათ შორის კანადის ორდენი (1975წ.), 1984 წელს წარდგენილ იქნა მსოფლიოს ნობელის პრემიაზე. კვებეკის ეროვნული ორდენი (2000წ.) და საფრანგეთის ღირსების ლეგიონი (2000წ.). 2008 წლის 17 ოქტომბერს ნაპოლეონისტთა ისტორიულ წრეებს გამოაკლდა ცნობილი მკვლევარი და მწერალი ბენ უაიდერი.

The paper focuses on a famous scholar, writer, founder of Napoleon International Society and bodybuilder Ben Weider. He largely contributed to the development of fitness worldwide, and in 1946 founded an International Federation of Bodybuilding. Another field of Weider's interest was the life of Napoleon Bonaparte. Together with Sten Forshufvud, Weider introduced the "hypothesis of poisoning" and published several books and articles on this topic. Ben Weider's works play a significant role in the study and promotion of Napoleonic history.

**ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაცია  
/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების  
მასალაზე/**

**PHRASEOLOGICAL INTERNATIONALIZATION  
/ON THE MATERIAL OF FRENCH, ENGLISH AND GEORGIAN  
LANGUAGES /**

**ციური ახვლედიანი**

**Tsiuri Akhvlediani**

**გიორგი ყუფარაძე**

**Giorgi Kuparadze**

**ქეთევან გაბუნია**

**Ketevan Gabunia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ენათშორისი, ინტერნაციონალიზაცია,  
ნასესხები, ჟღერადობა, იზომორფული  
**Keywords:** Linguistic, internationalization, borrowed, sounding,  
isomorphic

ენათაშორისი ურთიერთობებისა და მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პროცესთა და მოვლენათა შესწავლისას, განსაზღვრულ ადგილს იკავებს ენობრივი (ძირითადად, ლექსიკური) ინტერნაციონალიზაცია. ინტერნაციონალური ლექსიკის შესწავლისას კი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაციის საკითხები. ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაციისას, შესაძლებელია, მონაწილეობას იღებდეს შუამავალი ენაც, მაგრამ შენარჩუნებული იყოს ფრაზეოლოგიური ერთეულის თავდაპირველი მნიშვნელობა. ინტერნაციონალური ლექსიკა, ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიასთან შედარებით, ხასიათდება ისეთი გარეგნული ნიშნების უფრო ხშირი თანხვედრით, როგორებიცაა ჟღერადობა და დანერილობა, რაც ფრაზეოლოგიურ დონეზე რეგულარულად შეინიშნება მხოლოდ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც ნასესხებია მათი მკვიდრი ფორმებით და ასევე ფრაზეოლოგიურ ინტერნაციონალიზმებში აუცილებელი ნაწილობრივი მატერიალური თანხვედრობით.

ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ენათაშორისი შესაბამისობის ფაქტების საფუძველზე, რაც ვლინდება არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც. გამოიყოფიერა ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაციის 5 ძირითადი ტიპი: 1. ინტერნაციონალიზმები სრული ფონოგრაფიკული მსგავსებით (ბგერითით და გრაფიკულით), 2. ინტერნაციონალიზმები ნაწილობრივი ფონოგრაფიკული მსგავსებით (ბგერითით და/ან გრაფიკულით), 3. იზომორფული ინტერნაციონალიზმები, 4. ფორმალური ინტერნაციონალიზმები, 5. პოტენციალური ინტერნაციონალიზმები.

### **ლიტერატურა:**

- დობროვოლსკი, დ.** – Dobvol'skij, D. (2011). Sopotavitelnaya Frazologia: Mezhlazokovaya ekvivalentnost i problemi perevoda idiom. [Comparative Phraseology: Inter-language equivalency and problems of Translation of Idioms]. 219-246.
- კამუსინო, კ., ფაბიო, პ., ფაბიო, მ.** – Ramusino, C., Fabio, P., Fabio, M. (2020). Kontrastivnaya Frazologia. Lengvijiz i kalcherz in comperizon. [Contrastive Phraseology. Languages and cultures in comparison].



- კნაპე, გ.** – Knappe, G. (2004). Idioms and Fixed Expressions in English Language Study before 1800. Peter Lang.
- კუმლევა, ტ.** – Кумлева, Т. (2011). Samaya sovremenaya frazeologia frantsusko-  
go iazika.[ The Latest Contemporary Phraseology of the French Language].  
Moscow.
- კუნინი, ა.** – Kunin, A. (1996). Kurs frazeologii sovremennogo angliyskogo yazika. [The Course of the Phraseology of the modern English Language], 2-nd  
edition, Moscow:Visshaya Shkola.
- სოლოდუხო, ე.** – Солодухо, Э.(1982). Problemi Internatsionalizatsii Frazeologii.  
Na materiale iazikov slavianskoi, germanskoi I romanskoi grup. [Problems  
of Internationalization of Phraseology. On the material of Slavic, Germanic  
and Roman groups] Izdatelstvo Kazanskogo Universiteta.
- ჰამიდოვა, ნ.** – Хамидова Н.(2014). Frazeologia Frantsuzkogo Iazika. [Phraseol-  
ogy of the French Language]. Uzbekskii Gosudarstvenni Universitet Mirovix  
Iazikov. Tashkent.
- ქაროსანიძე, ლ.** (2013). თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია. „ქართ-  
ველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, II, 157-163. თბილისი: ქარ-  
თული უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISSN 1987-930X. <https://doi.org/10.13140/RG.2.2.31468.28806>

Linguistic (mainly lexical) internationalization occupies a definite, leading place in the study of interlinguistic relations and the specific processes together with the events closely associated with them. When we observe the international vocabulary, the issues of phraseological internationalization require special attention. As for the analysis of phraseological internationalization, the intermediary language may also be involved but the original meaning of a phraseological unit may stay retained. International vocabulary, in comparison with international phraseology, is characterized by a more frequent coincidence of such outward signs as their sounding and writing are. These features are regularly observed at the phraseological level only in borrowed phraseological units as well as in necessary partial material coherence of phraseological internationalisms. Phraseological internationalization is carried out on the facts of interlanguage relevance of phraseological units, which is manifested not only in content but also in

form. Five main types of phraseological internationalization have been singled out: 1. Internationalisms with full phonographic similarity (sound and graphics), 2. Internationalisms with partial phonographic similarity (sound and / or graphic), 3. Isomorphic internationalisms, 4. Formal internationalisms, 5. Potential internationalisms.

## References:

- Dobrovol'skij, D.** (2011). Sopostavitelnaya frazeologija: Mezhiazokovaya ekvivalentnost i problemi perevoda idiom. [Comparative Phraseology: Inter-language equivalency and problems of Translation of Idioms]. 219-246.
- Ramusino, C., Fabio, P., Fabio, M.** (2020). Kontrastivnaya frazeologija. Lengvijiz i kalcherz in comperizon. [Contrastive Phraseology. Languages and cultures in comparison].
- Кнарпе, G.** (2004). Idioms and Fixed Expressions in English Language Study before 1800. Peter Lang.
- Кумлева, Т.** (2011). Samaya sovremenaya frazeologija frantsuskogo iazika. [The Latest Contemporary Phraseology of the French Language]. Moscow.
- Kunin, A.** (1996). Kurs frazeologii sovremennogo angliyskogo yazika. [The Course of the Phraseology of the modern English Language], 2-nd edition, Moscow: Visshaya Shkola Солодухо, Солодухо, Э. (1982). Problemi Internatsionalizatsii frazeologii. Na materiale iazikov slavianskoi, germanskoi i romanskoi grup. [Problems of Internationalization of Phraseology. On the material of Slavic, Germanic and Roman groups] Izdatelstvo Kazanskogo Universiteta.
- Хамидова, Н.** (2014). Frazeologija Frantsuzkogo iazika. [Phraseology of the French Language]. Uzbekskii Gosudarstvenni Universitet Mirovix iazikov. Tashkent.
- Karosanidze, L.** (2013). Tanamedrove kartuli terminologia. [Modern Georgian terminology]. "Actual Problems of Kartvelology, II, 157-163. Tbilisi: Georgian University press. ISSN 1987-930X. <https://doi.org/10.13140/RG.2.2.31468.28806>

თანამედროვე ებრაული საქმიან-  
ოფიციალური ენიდან თარგმნის  
თავისებურებანი

FEATURES OF TRANSLATION FROM MODERN HEBREW  
OFFICIAL-BUSINESS LANGUAGE

ლეილა ბახტაძე

Leila Bakhtadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბიზნესენა, ენის სტანდარტი

**Keywords:** Official-Business Language, Language standardization

ტერმინი „ბიზნესენა“, „საქმიანი ენა“ ფართო მნიშვნელობისაა და მოიცავს საქმიან-ოფიციალური სფეროს ყველა ასპექტს – ბიზნესი, ვაჭრობა, საერთაშორისო ურთიერთობები, პრეზენტაციები, ოფიციალური შეხვედრები, მოლაპარაკებები და ა.შ.

ზოგადად, ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- მიზნის გამოხატვის სიზუსტე;
- ლაკონიზმი;
- ოფიციალური დოკუმენტური სტანდარტის არსებობა;

ებრაულმა ენამ, რომელიც მე-18 საუკუნემდე მხოლოდ „ნიგნის ენა“ იყო, განვლო განვითარების მტკივნეული და რთული პროცესები, სანამ იქცეოდა ისრაელის სახელმწიფო ენად.

საქართველოსა და ისრაელის საქმიანი ურთიერთობები უკვე 20 წელზე მეტს ითვლის. ორ ქვეყანას შორის პარტნიორობის განვითარებასთან ერთად გაჩნდა საჭიროება ოფიციალური დოკუმენტაციის თარგმნისა ებრაულიდან ქართულად და პირიქით.

ქართულიდან ებრაულ ენაზე თარგმნისას ხშირად რთულია შესაბამისი ეკვივალენტის შერჩევა, ამიტომ საჭირო ხდება სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რათა თავიდან ავიცილოთ უზუსტობა.

თუ შევადარებთ სხვადასხვა შინაარსის ოფიციალურ დოკუმენტებს ქართულ და ებრაულ ენებზე, განსხვავება სტილსა და სტრუქტურას შორის საკმაოდ დიდია, რაც, პირველ ყოვლისა, ებრაული ენის სპეციფიკას უკავშირდება.

თარგმნის პროცესში შეიძლება შეიცვალოს წინადადების წყობა, მეტყველების ნაწილები ნათარგმნ ტექსტში შეიცვალოს სხვა მეტყველების ნაწილებით, რაც იწვევს გრამატიკულ ტრანსფორმაციას და შესაბამისად ეს აისახება ტექსტის მოცულობაზე.

თარგმნის პროცესში იცვლება წყობა, თანმიმდევრობა და საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რომ ზუსტად გადმოიცეს კონტექსტი, ნიუანსი და კატეგორიულობის ხარისხი.

The term “business language” has a broader meaning incorporating all aspects of the official-business domain. The history of business relations between Georgia and Israel span over more than two decades. In parallel with the development of partnership between the two countries, the need for Hebrew into/from Georgian translation of official documents has emerged. Apart from business agreements, the references/certificates, licenses, medical opinions, and legal documents (i.e. sentence, examination minutes, etc.) issued in Israel undergo translation. When translating from Georgian into Hebrew, the selection of a relevant equivalent is often complicated, therefore, word-for-word translation becomes necessary in order to avoid inaccuracies.

Unlike Georgian, where even if Georgian equivalent is available the overabundance of foreign-language terminology is striking in any official text, the Hebrew text, on the contrary, has the smallest possible number of foreign terms. Even such wide-spread words as “business” (מִיִּקְסָע, קִסְסֵע), (“holding” (תּוֹקֻזְחָא תְּרַבְּחָא), “corporation” (דִּיגְאָת), “management” (הַלְהָנָה), “investment” (הַעֲקָשָׁה), and “investor” (עֵיקֶשֶׁמ) have Hebrew counterparts and international terms (specifically in written texts) are hardly ever attested.

The use of Abbreviations is accepted which are translated in full in Georgian except for rare exceptions since their equivalents are absent in Georgian.

Infinitive constructions (instruction, recommendation, order) that are typical to Hebrew add flexibility to texts, therefore, Georgian-to-English translations are shorter and the other way around. When translating from Hebrew into Georgian, there is a need for expanding the text to ensure coherence of meaning.

In the course of the translation process, the sentence structure may be altered, parts of speech may be rendered with other parts of speech in the target text, leading to grammatical transformation and relevantly impacting the volume of the text.



**ადამიანური ყოფიერების ფორმირება და  
ორიენტაციის შეცვლა განმანათლებლობის  
პროექტში**

**BECOMING OF HUMAN BEING AND CHANGE OF  
ORIENTATION IN THE PROJECT OF ENLIGHTENMENT**

**ირაკლი ბრაჭული**

**Irakli Brachuli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მირჩა ელიადე, ანთიმოზ ივერიელი,  
ადამიანური ყოფიერების ფორმირება

**Keywords:** Mircea Eliade, Anthim the Iberian, Becoming of human  
being

ჩემი მოხსენების კონტექსტია ადამიანური ყოფიერების ფორმირება და ორიენტაციის შეცვლა განმანათლებლობის პროექტში. აღნიშნული ცვლილებების ფენომენის სპეციფიკის გაგება და სულიერი სიტუაციის ანალიზი, თანამედროვე ადამიანური კონდიციის გამოწვევები.

თემამ მოითხოვა შემდეგი კონცეპტების შედარებითი ანალიზი: მარტინ ჰაიდეგერის „ონტოლოგიური დიფერენცი“, „ტრადიციის“ ცნება ჰანს-გეორგ გადამერის ჰერმენევტიკულ თეორიაში; ჰიეროფანიების კონცეპტი მირჩა ელიადესთან, ჰაბერმასის „პოსტ-სექულარული საზოგადოების“ ცნება.

მიმდინარე მილენიუმის ბექგრაუნდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ადამიანური ბუნების ვოლუნტარისტული თვითმოდელირება პოსტ ჰუმანიზმის პერსპექტივაში. იცვლება ადამიანის უფლებათა პარადიგმა. უქმდება ფუნდამენტური განსხვავება ადამიანურ სამყაროს, ცხოველთა სამყაროს და ბუნების სამყაროს შორის. სწორედ აქ იკვეთება მართლმადიდებლური მონასტრის როლი. მონასტერი ინახავს ადამიანური ყოფიერების საწყისურ ტრადიციებს. მირჩა ელიადეს აზრით, მომავალში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ზეძლიერი რელიგიური ენერჯის მატარებელ ცენტრებს. მაგალითად, ტიბეტს აღმოსავლურ სამყაროში, ხოლო დასავლურ სამყაროში მართლმადიდებლურ მონასტრებსა და ე.წ „კოსმიურ ქრისტიანობას“, რაც არის მედიუმი ლიტურგიკულ განზომილებასა და ხალხურ რწმენას შორის.

ანთიმოზ ივერიელმა დაარსა 20 მონასტერი რუმინეთში და ტიპოგრაფიული ინდუსტრია პოსტიზანტიურ სამყაროში. ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საგანმანათლებლო, საერო და საეკლესიო მოღვაწეობა ახლებურად წარმოაჩენს ქართული თეოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გზებს. მისი მეშვეობით ქართული თეოლოგიური აზროვნება ჩაერთო ისტორიულ, კულტურულ და სააზროვნო სივრცეში. ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა წარმოადგენს კულტურათა წარმატებული დიალოგის მაგალითს. მნიშვნელობა აქვს მისი მემკვიდრეობის თარგმანს რუმინულიდან ქართულ და ინგლისურ ენებზე და მათ ინტერდისციპლინარულ კვლევას, რაც ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით „ანთიმოზ ივერიელი: ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი.



The main context of the presented paper is understanding of the specifics of the phenomenon of the becoming of human beings and change of orientation in the project of enlightenment and the analysis of the spiritual situation, the challenges of the modern human condition.

A comparative analysis of the following concepts was performed: Martin Heidegger "Ontological difference", "tradition" in Hans-Georg Gadamer's hermeneutical theory, Mircea Eliade's concept of hierophanies and Jurgen Habermas's "Post Secular Society".

The background of the current millennium can be characterized as the voluntary self-modelling of human nature in the perspective of post-humanism. The human rights paradigm is changing. The fundamental difference between the human world, the animal world, and the natural world is blurred. This is where the role of the Orthodox monastery comes into play. The monastery preserves the original traditions of human existence. According to Mircea Eliade, in the future, great importance will be attached to the centres of strong religious energy. For example, Tibet in the Eastern world, and in the Western world- orthodox monasteries and the so-called "Cosmic Christianity", which play the role of medium between the liturgical dimension and the folk faith.

Anthim the Iberian founded 20 monasteries in Romania and typographic industry in the post-Byzantine world. The philosophical-theological heritage of Anthim the Iberian throws new light onto Georgian theological and philosophical thinking. Owing to him, Georgian theological thinking is involved in the historical and thinking area of Europe. His activities and works are significant moments of Georgian theological and philosophical thinking development, a successful dialogue between cultures. Translations of his works from Romanian into English and Georgian are of great importance for interdisciplinary research, which is implemented within the project: "Anthim the Iberian: A part of European Space of Thinking" with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.



მარადიული სახის მხატვრული  
ინტერპრეტაციის თავისებურებები:  
გალაკტიონ ტაბიძისა და ანა ახმატოვას ერთი  
ლიტერატურული კარალელის მაგალითზე

PECULIARITIES OF THE ARTISTIC INTERPRETATION  
OF THE ETERNAL FACE: USING THE EXAMPLE OF ONE  
LITERARY PARALLEL OF GALAKTION TABIDZE AND  
ANNA AKHMATOVA

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ინტერპრეტაცია, ანა ახმატოვა,  
გალაკტიონ ტაბიძე

**Keywords:** Interpretation, Anna Akhmatova, Galaktion Tabidze

მარადიული სახე თავისი მაღალმხატვრულობით, სულიერებით, ეპოქათა და ეროვნულ კულტურათა საზღვრების გადალახვისა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირების უნარით, პოლივალენტურობით, შინაარსობრივი ტევადობით, აზრისა და მნიშვნელობის უშრეტობით, მარადიული აქტუალობით, შეცვლილ ვითარებაში ჩართვისას თავისი იდენტურობის შენარჩუნებისა და ხელოვნების სხვა დარგების ენაზე ადვილად გადატანის შესაძლებლობით, გავრცელების ფართო არეალით, საკუთარი ინტერპრეტაციული ტრადიციის არსებობით, მარკირებულობითა და კიდევ სხვა მრავალი თავისებურებით უნიკალური ფენომენია.

წარმომავლობის მიხედვით, მარადიულ სახეებში გამოყოფენ მითოლოგიურ, ფოლკლორულ, რელიგიურ, ლეგენდარულ, ისტორიულ და ლიტერატურულ სახეებს. მარადიული სახეები ჩართულია მრავალრიცხოვან სოციალურ პრაქტიკაში. მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც შორს დგანან მხატვრული შემოქმედებისაგან. თუმცა მათ განსაკუთრებულ ხიბლს სწორედ ხელოვნება და ლიტერატურა სძებს.

იმის დასტურად, თუ რამდენად ნაყოფიერად ფუნქციონირებენ, როგორ ახდენენ თავიანთი ეპოქისა თუ კულტურულ-ესთეტიკური ფასეულობების წარმოჩენას მარადიული სახეები, როგორ ინარჩუნებენ აქტუალობას, რა მარტივად გადადიან ეპოქიდან ეპოქაში, ქვეყნიდან – ქვეყანაში, როგორი მოქნილნი, პოლივალენტურნი, მარკირებულნი არიან, განვიხილავთ შექსპირის ჰამლეტისა და ოფელიას მარადიულ სახეებს ორი ლექსის მაგალითზე: გალაკტიონ ტაბიძის „ჰამლეტის ქნარით“ და ანა ახმატოვას „ჰამლეტის“ კითხვისას“ .

გალაკტიონის ლექსში პარაფრაზირებულია შექსპირის ცნობილი ნაწარმოები. მაღალმხატვრული ფორმით არის გადმოცემული ლირიკული გმირის განცდები და ტრაგედია. ანა ახმატოვამ მკითხველს მაღალოსტატურად და ამავე დროს ერთგვარი პოეტური სისადავით წარმოუჩინა თავისი სათქმელი შექსპირის სიუჟეტურ მოტივში და ამასთან ერთად განაზოგადა თავისი პირადული სატიკვარი.

The Eternal Face with its high artistry, spirituality, ability to transcend the boundaries of epochs and national cultures and function for a long time, with its polyvalence, content capacity, inexhaustibility of thought and meaning, eternal topicality, capacity to blend in the changing environment and still preserve its authentic identity, the ability to be employed in other forms of art, the wide area of its spread, with its interpretive tradition, marking and many other features is a unique phenomenon.

The Eternal Face may have a mythological, folk, religious, legendary, historical and literary origin. The Eternal faces are involved in numerous social practices including those that are far removed from artistic creation. However, their special charm is attributed to art and literature.

To prove how fruitfully they function, how they display their epoch or cultural-aesthetic values, how they maintain relevance, how easily they move from epoch to epoch, from country to country, how flexible, polyvalent the Eternal Faces are, we will use the Eternal Faces of Shakespearean Ophelia and Hamlet in two poems: Galaktion Tabidze's "Hamlet with the Lyre" and Anna Akhmatova "Reading Hamlet".

Galaktion's poem paraphrases Shakespeare's famous work. The feelings and tragedy of the lyrical hero are conveyed in a highly artistic form. Anna Akhmatova masterfully, but at the same time, with a poetic simplicity presented the Shakespearean motif and simultaneously generalized her personal pain.



სამურაების სამხედრო ფენის აღსასრული  
იაპონიაში

THE END OF THE SAMURAI MILITARY LAYER IN JAPAN

ნანა გელაშვილი

Nana Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სამურაი, იაპონია, მეიჯი, ტოკუგავა  
**Keywords:** Samurai, Japan, Meiji, Tokgawa

შუა საუკუნეების იაპონიის განუყოფელ კომპონენტს სამურაების სამხედრო ფენა წარმოადგენდა. მათი პირველი რაზმები მე-8 საუკუნეში ჩამოყალიბდა, რომელთა მთავარი მოვალეობა სიუზერენისათვის ერთგული სამსახურის განწევა და მისი დაცვა იყო, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის პერიოდში. ქვეყანაში მიმდინარე პერმანენტული შიდა ომების პირობებში, მეტად აქტუალური იყო სამურაების სამხედრო ძალების არსებობა და სათანადოდ გამოყენება. აქედან გამომდინარე, მათი უფლებამოსილება სულ უფრო ფართოვდებოდა და მე-16 საუკუნისათვის ხსენებული სამხედრო ფენა იაპონიის ყველაზე პრივილეგირებულ კლასად ჩამოყალიბდა.

სამურაების პრესტიჟული სტატუსი რადიკალურად შეიცვალა 1867/1868 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის (ე.წ. მეიჯის რესტავრაციის) და გატარებული რეფორმების შედეგად. კერძოდ, 1867 წლის მიწურულს იაპონიაში დაემხო სამხედრო-ფეოდალური მმართველობის სისტემა – ტოკუგავას შიოგუნატი (ამ აქტივ ალდგენილ იქნა იმპერატორის ერთმმართველობა) და მასთან ერთად დასრულდა სამურაების ხანაც. ახალ პოლიტიკურ რეალობაში, როდესაც იაპონია ვესტერნიზაციის გზას დაადგა, სამურაების ფენა უკვე დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობების გადმონაშთად აღიქმებოდა და, შესაბამისად, ის ისტორიის კუთვნილება უნდა გამხდარიყო. ხაზგასასმელია, რომ ამ პროცესებს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია; ხდებოდა უფუნქციოდ დარჩენილი სამურაების ამბოხებები და შეტაკებები სამთავრობო ჯარებთან. მათგან ყველაზე მასშტაბური იყო 1877 წლის აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე და „უკანასკნელი სამურაის“ სახელით ცნობილი საიგო ტაკამორი. სისხლიანი კონფლიქტი სამთავრობო ჯარებსა და ამბოხებულებს შორის ექვსი თვე გრძელდებოდა და საბოლოოდ სამურაების მარცხით დასრულდა.

## **ლიტერატურა:**

**გელაშვილი, ნ.** (2012). იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“. ISBN 978-9941-17-627-2



- რავინა, მ.** – Ravina, M. (2004). *The Last Samurai: The Life and Battles of Saigo Takamori*. USA-New Jersey: Publisher John Willey and Sons. ISBN 0-471-08970-2
- ჯანსენი, მ.** – Jansen, M. (2000). *The making of Modern Japan* Cambridge, London: Harward University Press. ISBN 0-674-00334-9
- ვერტი, მ.** – Wert, M. (2019). *Samurai: A Concise History*, New York: Oxford University Press. ISBN 978-0-19-09-3294-7

An integral component of medieval Japan was the military layer of the Samurai. Their first detachments appeared in the 8th century, whose main duty was to serve and protect the suzerain faithfully, during both – the war and the peacetime. Due to the ongoing permanent internal wars in the country, the existence of Samurai military forces and their proper use was topical. Therefore, their powers were increasingly expanding and by the 16th century, the aforementioned military stratum had become Japan's most privileged class.

The prestigious status of Samurai had changed radically as a result of the bourgeois revolution of 1867/1868 (so-called Meiji Restoration) and the reforms carried out. In particular, at the end of 1867 military-feudal system of government – Tokugawa shogunate was overthrown (this act restored the monopoly rule of the emperor) and with it, the era of Samurai also ended. In the new political reality, when Japan embarked on the path of westernization, the Samurai layer was perceived as a reminder of time-worn feudal relations, and, therefore, it had to become part of history. It should be emphasized, that these processes did not go smoothly. There were revolts and clashes of dysfunctional Samurais with government troops. The largest and crowning of these was the rebellion of 1877, led by a famous political figure, known as the last Samurai," Saigo Takamori. The bloody conflict between government troops and rebels lasted for six months, which eventually ended in the defeat of the Samurai.

## **References:**

- Gelashvili, N.** (2012). *Iapoonia saukuneta labirintebshi*. [Japan in the Labyrinths of Centuries]. Tbilisi: "Universal" Press. ISBN 978-9941-17-627-2

**Ravina, M.** (2004). *The Last Samurai: The Life and Battles of Saigo Takamori*. USA-New Jersey: Publisher John Willey and Sons. ISBN 0-471-08970-2

**Jansen, M.** (2000). *The making of Modern Japan* Cambridge, London: Harvard University Press. ISBN 0-674-00334-9

**Wert, M.** (2019). *Samurai: A Concise History*, New York: Oxford University Press. ISBN 978-0-19-09-3294-7

**ელექტრონული მიმოწერა და თავაზიანობა  
/სტუდენტებისა და ფაკულტეტის ელექტრონული  
კომუნიკაცია/**

**E-MAIL COMMUNICATION AND POLITENESS  
/E-MAIL COMMUNICATION BETWEEN STUDENTS AND  
FACULTY MEMBERS/**

**ეკატერინე გოგალაძე**

**Ekaterine Gogaladze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია, ელექტრონული კომუნიკაცია,  
თავაზიანობა, სამეტყველო აქტები, თხოვნა

**Keywords:** Communication, E-mail communication, politeness, speech  
acts, request

ჩვენი საუკუნე სიახლეების და ტექნოლოგიების სწრაფად განვითარების საუკუნეა. სწრაფად შეიცვალა ადამიანი, ადამიანის ყოველდღიურობა, ადამიანური ურთიერთობები, კომუნიკაციის სახეები და საშუალებები. თანამედროვე სამყაროს ადამიანი განუწყვეტლივ იღებს ახალი ინფორმაციის ნაკადს, მას გამუდმებით უწევს კომუნიკაციის ველში ტრიალი, მიღებული ინფორმაციის გადააზრება, მისი ტვინი საოცარი სისწრაფით რეაგირებს მიმდინარე ცვლილებებზე, რომლებიც მყისიერად იცვლება და გარდაიქმნება. ყველაფერთან ერთად შეიცვალა საკომუნიკაციო არეალი: იგი გაფართოვდა და გლობალური სახე მიიღო. ძალზე გამართივდა და გამრავალფეროვნდა კომუნიკაციის დამყარების საშუალებები (მობილური კავშირი, ინტერნეტკავშირი). საკომუნიკაციო ინსტრუმენტთა უახლესმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა სწრაფი და ხარისხიანი კავშირის დამყარება დედამიწის ნებისმიერ წერტილთან.

თანამედროვე ყოფაში კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ელექტრონული მიმონერა გახდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კი ელექტრონულმა კომუნიკაციამ კოვიდ ვირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის პირობებში ფაქტობრივად ჩაანაცვლა პირდაპირი კონტაქტები.

საქართველოში არსებული ყველა აკრედიტებული სასწავლებელი სწავლების ონლაინ ფორმატზე გადავიდა. ონლაინ ფორმატში გადაინაცვლა უნივერსიტეტთა ადმინისტრაციულმა კორპუსმაც. სტუდენტები დისტანციურად, სტუდენტური პორტალის საშუალებით, ელექტრონული მიმონერის გზით სხვადასხვა მოთხოვნით უკავშირდებიან შესაბამის დეპარტამენტებს.

კვლევა მიზნად ისახავს სტუდენტთა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ელექტრონული მიმონერის გაანალიზებას თავაზიანობის კონცეპტის გათვალისწინებით. რადგანაც სტუდენტთა წერილები ძირითადად მოიცავს ამა თუ იმ თხოვნა-მოთხოვნას, კვლევის მთავარ საკითხად განისაზღვრა თხოვნა, როგორც ერთ-ერთი ეტიკეტური სიტუაცია.

კვლევისათვის შეირჩა 2019-2021 სასწავლო წლებში სტუდენტთა მიმონერა თსუ ადმინისტრაციულ დეპარტამენტებთან. შერჩევითი პრინციპით გამოიყო ქართულენოვან და არაქართულენოვან სტუ-

დენტთა 200 ელექტრონული წერილი. მონაცემები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით და შედეგებს გთავაზობთ ცხრილების სახით.

წარმოდგენილ მოხსენებაში მოკლედ განვიხილავთ თეორიებს თავაზიანობის კონცეპტის (Brown&Levinson; Goffman; Leech) შესახებ, რაც კვლევის თეორიული ჩარჩოა.

კვლევის შედეგებმა, ფაქტობრივად, თავაზიანობის არსის ახლებურად გადააზრების საშუალება მოგვცა.

### **ლიტერატურა:**

**ბრაუნი, პ., ლევინსონი, ს. ქ.** – Brown Penelope and Levinson Stephen C. (1987). Politeness: Some Universals in Language Usage, Cambridge University Press.

**ვეუბიცკა, ა.,** – Вежбицка, А.(1985) Речевые Акты, Новое в зарубежной лингвистике, т. 16, Москва: издательство «Прогресс».

**თალეჟანი-ნიკაზმი ქ.** – Taleghani-Nikazm, C. (2006). Request sequences: The intersection of grammar, interaction and social context (Studies in Discourse and Grammar). Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.

Our century is characterised by the rapid development of innovations and technologies. People, human daily life, human relationships, types and means of communication have changed rapidly. The human of the modern world is constantly receiving a stream of new information, he is constantly in the space of communication, rethinking the received information, his brain responds with amazing speed to the current changes that are instantly changing and transforming. With everything, the communication area has changed: it expanded and took on a global look. The means of establishing communication (mobile/E-mail connection, internet connection) have been greatly simplified and diversified. The latest technological advances in communication tools have made it possible to establish a fast connection with any point on the earth.

Electronic correspondence has become one of the main sources of communication in modern life. And in the last few years, electronic com-

munications, in the face of a pandemic caused by the spread of the COVID virus, have virtually replaced direct contacts.

All accredited universities in Georgia have switched to an online teaching format. The university administration has also moved to an online format. Students communicate remotely with the relevant departments through e-mail correspondence with various requests to the administrative departments.

The study aims to analyze the electronic correspondence of students and university administrative and academic staff with a view to the concept of courtesy. Because the students' letters mainly included the requests, the main issue of the research was the request as one of the etiquette situations.

For the study, there was selected student correspondences with TSU administrative departments in the 2019-2021 academic year were selected. Altogether, 200 e-mails of Georgian-speaking and non-Georgian speaking students were selected chosen.

The data were processed by quantitative research method, and the results are presented in the form of tables.

In this paper, we briefly discuss theories about the concept of politeness (Brown & Levinson; Goffman; Leech), which is a theoretical framework for research. The results of the study allowed us to rethink the essence of politeness.

#### References:

- Brown P., Levinson, S. C.** (1987). *Politeness : Some Universals in Language Usage*, Cambridge University Press.
- Taleghani-Nikazm, C.** (2006). *Request sequences: The intersection of grammar, interaction and social context* (Studies in Discourse and Grammar). Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.
- Вежбицка, А.** (1985). *Речевые Акты, Новое в зарубежной лингвистике*, т. 16, Москва: издательство «Прогресс».

ხალხური ჩვეულებითი სამართალი და  
საეკლესიო სამართალი იაკობ ხუცესის  
„წმიდა შუშანიკის წამებაში“

FOLK CUSTOMARY LAW AND ECCLESIASTICAL LAW IN  
THE “MARTYRDOM OF SAINT SHUSHANIK”

ია გრიგალაშვილი

Ia Grigalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of humanities

**საკვანძო სიტყვები:** საეკლესიო, სამართალი, ხალხური,  
ჩვეულებითი, ჰაგიოგრაფია

**Keywords:** Ecclesiastical, Law, Folk, Customary, Hagiography

იაკობ ხუცესის „წმინდა შუშანიკის წამება“ ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით კარგად შესწავლილი ჰაგიოგრაფიული საკითხავია, თუმცა, ხალხური ჩვეულებითი სამართლისა და ქრისტიანული საეკლესიო სამართლის ნორმების გაუთვალისწინებლობა ხელის შემშლელია ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზისათვის.

იაკობ ხუცესი ჰაგიოგრაფიულ საკითხავს დაპირისპირების ხერხის გამოყენებით აგებს: ქრისტიან, მორწმუნე დედოფალს – წმიდა შუშანიკს უპირისპირდება რწმენაშეცვლილი ვარსქენ პიტიახში, ჰაგიოგრაფის ქრისტიანულ-ეროვნული სულისკვეთება ვლინდება სპარსელთა მზაკვრული, ქართველების დასამორჩილებლად მიმართული პოლიტიკის წინააღმდეგ, საეკლესიო სამართლის კანონების დაცვის ფონზე სუსტდება ხალხური, ჩვეულებითი სამართლის ნორმები.

დღემდე განხილვის საგანია წმინდა შუშანიკის განრისხება პურობისას. წმინდანმა რწმენაშეცვლილ ვარსქენთან, ქრისტიან ჯოჯიკსა და მის მეუღლესთან ტრაპეზი რატომ არ ისურვა, თანამედროვე მკითხველისათვის გაუგებარია. იმის მტკიცება, რომ სიმბოლურად ღვინო ქრისტეს სისხლია და პური – ხორცი და ამიტომ ურჯულო მეუღლესთან არ ინება წმინდანმა მისი მიღება, კონკრეტული ეპიზოდის კონტექსტის გასაგებად არასაკმარისია. პური და ღვინო მხოლოდ ზიარებისას ხდება საკრალური მნიშვნელობის და არა ოჯახში, საკვების მიღებისას. ჯოჯიკი და მისი ცოლი ქრისტიანებად დარჩნენ სიცოცხლის ბოლომდე. მიგვაჩნია, რომ გასათვალისწინებელია საეკლესიო სამართლის იმჟამინდელი ნორმები, რომელთა ზედმიწევნით დამცველადაც გვევლინება წმინდა შუშანიკი.

ცნობილია, რომ მესამე საუკუნის მეორე ნახევრიდან იკრძალება ეკლესიებში სიყვარულის ტრაპეზების მოწყობა, დედაკაცთა და მამაკაცთა ერთად პურობა. ასეთი აკრძალვა კი გამოიწვია უნესრიგობამ, რომელიც გამოწვეუი იყო მორწმუნეთა გადაჭარბებული ნაყროვანებით,, როცა იმართებოდა ალაპე – ანუ სიყვარულის ტრაპეზები. I-II საუკუნეებში ეკლესიებში იკრიბებოდა ურიცხვი შესანიერი, მდიდრები და ღარიბები ერთად მიირთმევდნენ დაგროვილ სურსათ-სანოვავებს. 343 წელს ჩატარებული ლაოდიკიის საეკლესიო



კრების დადგენილებით, აიკრძალა სიყვარულის ტრაპეზების მოწყობა, დიდირაოდენობით საქმლის მიღება, შინ წაღება, დედაკაცთა და მამაკაცთა ერთად პურობა (მართლმადიდებელი... 2007, 525). ამრიგად, წმინდა შუშანიკი მამაკაცებთან პურობაზე უარის თქმისას იცავს საეკლესიო დადგენილებას. იმ პერიოდისათვის აკრძალული იყო არა მარტო ეკლესიებში, არამედ სახლებშიც დედაკაცთა და მამაკაცთა ერთად პურობა, რასაც ადასტურებს მოგვიანებით, დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ, მიღებული კანონი. 787 წელს ჩატარებული ნიკეის მეორე საეკლესიო კრების დადგენილებით, დედაკაცებსა და მამაკაცებს ერთად პურობის უფლება ეძლევათ, მხოლოდ უფალს უნდა შესწირონ მადლობა (მართლმადიდებელი... 2007, 594).

„წმინდა შუშანიკის წამების“ მიხედვით, მისი უფროსი – ოჯახის თავი – ვარსქენ პიტიახშია. ქმრის ძალაუფლებას ცოლზე ადასტურებს ტერმინი-„კარად კარაულით“, რაც გულისხმობს დამნაშავე ცოლის საჯაროდ ვირზე შესმის ხალხურ ჩვეულებას. ზნეობრივი დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელი არსებობდა XIX-XX საუკუნეების საქართველოშიც (ნადარეიშვილი, 1973, 314-315). საგულისხმოა, რომ წმინდა შუშანიკი ვარსქენ პიტიახშის მუქარას, სასახლეში თუ არ დაბრუნდები, ჩორდს გააგზავნი, ვირზე შესმულსო, ირონიით პასუხობს, რომ ჩორდს წარგზავნის შემთხვევაში მას სიკეთე ელოდება. მაშასადამე, ხალხური, ჩვეულებითი სამართლის ნორმა ტექსტში დაკნინებულადაა წარმოდგენილი: ვარსქენმა გადაიფიქრა მუქარის განხორციელება.

ქართული ხალხური ტრადიციის მიხედვით, დიდგვაროვანი ქალის თავდაუბურავად გასვლა საზოგადოებაში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. სწორედ ასე ეცადა ვარსქენი დედოფლის დამცირებას, როდესაც ციხეში გადაყვანისას თავდაუბურავი და ფეხშიშველი მიჰყავდა და მხედრებიც უკან მიჰყვებოდნენ. ვერავინ გაბედა, თავზე დაეფარებინა დედოფლისათვის.

ხალხური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქმარს განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა მეუღლეზე. ვარსქენის მიერ მეუღლის გვემა სასახლეში პურობისას, ასევე, აღვსების ორშაბათს, ამის დასტურია. დედოფლის ციხეში ჩასმა კი ნიშნავს, რომ პიტიახში, როგორც მმართველი, განუსაზღვრელად დიდი უფლებით სარგებლობს. მას ვერავინ უბედავს შეწინააღმდეგებას. თუმცა, იაკობ

ხუცესის ჰაგიოგრაფიული საკითხავის მიხედვით, სწორედ ტანჯვათა დათმენის, საეკლესიო კანონების ზედმიწევნით შესრულების გზით დედოფალი შუშანიკი წმინდანთა დასს უერთდება.

### **ლიტერატურა:**

მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმოს მილაშის განმარტებებით, ტომი I, რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, ტექსტის რედაქტორი ია გრიგალაშვილი, (2007), თბილისი, გამომცემლობა „ალილო“

**ნადარეიშვილი გ.** (1973). განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, განტევება, განცალკევება და საკუთრივ განცალკევება, როგორც განქორწინების წესის განვითარების საფეხურები, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები.

“Martyrdom of Saint Shushanik” by Iakob Khutses is a well-studied hagiographic work from a historical-philological point of view, however, disregarding the norms of customary law and Christian ecclesiastical law hinders the hermeneutical analysis of the text.

Iakob Khutses constructs a hagiographic work by using a method of controversy: Varsqen Pitiakhsh who denied true faith opposes the faithful Queen –Saint Shushanik, Christian-National strive of the hagiographer is revealed against Persians’ treacherous policy that had been addressed to subordinate Georgians, folk customary norms are weakened on the background of the protection of ecclesiastical laws.

Anger of St Sshushanik during the feast has been the subject of discussion up today. It is not entirely clear why the Saint did not have the desire to partake the meal with apostate Varsken, Christian Jojik and his wife, for the assertion that wine symbolically is the blood of Christ and bread – the flesh is insufficient to understand the context of a particular episode. Bread and wine take sacral meaning only during the Eucharist and not while having the family dinner. Jojik and his wife remained to be Christians for the rest of their lives. So, while discussing the mentioned episode, pointing to the theological meaning of Eucharist, as if the Queen did not wish to par-

take the bread and wine with her apostate husband, is unconvincing. We consider that the norms of ecclesiastical laws of that time have to be taken into account. Saint Shushanik is the thorough defender of these norms.

It is known that from the second half of the 3rd century, holding of the Agape feast, where men and women partake the meal together, was forbidden in Churches. Such prohibition was caused by the disorder that ensued due to excessive satiety when Agape feast- or love-feasts were held. In the I-II centuries, countless offerings were gathered in the churches, the rich and the poor ate the gathered food and provisions together. According to the decree of the Ecclesiastical Council of Laodicea in 343, it was forbidden to hold Agape feasts, to eat large quantities of food, to take them home, and women and men could not have a meal together (Explanations ... 2007,525). Thus, St. Shushanik adheres to the ecclesiastical ordinance in refusing the partaking the meal with men. At that time the partaking in the meal by men and women together was forbidden not only in the churches but also at homes. It's confirmed by the law that had been taken later, about after two centuries, only according to the Ordinance of the 2nd Ecclesiastical Council in 787 in Nicea, it was allowed having the meal together for men and women were allowed to have a meal together, but they had to thank God (Explanations ...2007, 594).

According to the "Martyrdom of Saint Shushamik," the Head of the family is Varsqen Pitiakhsh. The term "On the donkey to Kari" (karad karaulita), confirms that the husband had an undefined power towards his wife. And this term meant folk customary law: to mount a guilty wife on the donkey in public/paraded a guilty woman on a donkey as a punishment. The punishment instituted for a moral crime had been existed up to XIX\_XX centuries CE in Georgia (Nadareishvili 1973, 314-315). It is significant that Saint Shushanik ironically answers to the threat of Varsqen that if he sent her to Chord, goodness would await her. So, the norm of folk customary law is presented in the text impoverished: Varsqen changed his mind to fulfil the threat.

According to Georgian folk tradition, for a noblewoman to go out in society by a noblewoman without a headdress was considered a great shame. So Varsken tried to humiliate the queen exactly in this way when he took

her to the prison barefooted and without the headdress and the horsemen followed her. Nobody dared to cover the head of the queen.

According to customary law, the husband had unlimited rights over his wife. Beating Shushanik by Varsken during the feast in the palace, also on Easter Monday, confirms the above-mentioned custom. Imprisoning the Queen means that Varsken as a Pitiakhsh enjoyed unlimited rights. Nobody dared to oppose him. Though, according to hagiographic reading text by Iakob Khutses, queen Shushanik joins with the host of Saints by bearing suffers, defending ecclesiastical laws.

### **References:**

Explanations of the Laws of Orthodox Church by the bishop Nikodim Milash. (2007). translated from Russian by Vladimer Chkhikvadze, editor of the text Ia Grigalashvili, Edition "Alilo", Tbilisi.

**Nadareishvili G.** (1973), Divorce according to Georgian Law, Sending, Separating and Separating as the steps of development of rule of divorce, The Questions of Georgian Law History, volume 1.

**მედიუმი – რომანტიზმის ფილოსოფიასა და  
რომანტიკულ ხელოვნებას შორის**

**BETWEEN THE PHILOSOPHY OF MEDIUM-ROMANTICISM  
AND ROMANTIC ART**

**ნანა გულიაშვილი**

**Nana Guliashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მედიუმი, თეორიული და საგნობრივი  
ესთეტიკა, რაციონალობა, ემოციურობა, ირონია.

**Keywords:** Medium, theoretical and subject aesthetics; rationality,  
emotionality, irony.

რომანტიზმის მსოფლმხედველობის თეორიული გააზრება განხორციელებულია ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიურ მოძღვრებებში, ხოლო ძმები შლეგელები წარმოადგენენ ევროპული კულტურის ისტორიაში იმ იშვიათ გამონაკლისებს, რომლებიც შეეცადნენ ფილოსოფიური დებულებების საგნობრივ განხორციელებას ხელოვნებაში. მათი შემოქმედება სწორედ ამ კუთხით არის საინტერესო. მათ გადეს ერთგვარი ხიდი თეორიულ და საგნობრივ ესთეტიკას შორის.

ამ თვალსაზრისის საუკეთესო დემონსტრირებაა მათი თეორიული ნაშრომების „ბერძნული პოეზიის სკოლები“ და „ფრაგმენტები“ და მათი საგნობრივ – ესთეტიკური ინპლემენტაცია. ამ თეორიულ ნაშრომებში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ბერძნულ კულტურაში იყო სრული წონასწორობა მატერიალურსა და იდეალურს, სხეულებრივსა და სულიერს შორის.

მათ ეს მიაჩნიათ ბერძნულ კულტურაში სამყაროს მხატვრული ათვისების ყველაზე არსებით სუსტ მხარედ. მათი აზრით ბერძნული კულტურის სამყაროს მხატვრული ათვისების ეს სუსტი მხარე დაძლეული უნდა იქნას ქრისტიანულ ხელოვნებაში განხორციელებული იდეალით, რომელიც აშკარად ორიენტირებულია სულიერზე და თითქოს მატერიალურს უგულვებლყოფს. ჩვენი აზრით, ძმებ შლეგელების ეს თეორიული მოსაზრებები განპირობებული იყო პრაქტიკული მიზნებით. ძმები შლეგელები მიზნად ისახავდნენ იმ დროს გაბატონებული კლასიციზმის ესთეტიკის პრინციპების უარყოფას.

კლასიციზმის ესთეტიკა ხომ მხატვრული ნაწარმოების აუცილებელ პირობად თვლიდა რაციონალურობას და არა ემოციურობას, სიცხადეს და არა მისტიკურობას. მკაცრ რეგლამენტაციას, მოწესრიგებულობას და ჰარმონიულობას, რაც, თავის მხრივ, მხატვრული ქსოვილიდან ემოციურ მუხტს განდევნიდა და ხელოვნება მშრალ, ცნებით – მეცნიერული ბუნების მსგავს ფენომენად წარმოჩნდებოდა.

რომანტიზმის ესთეტიკა სწორედ ამ პოზიციას უპირისპირდება და რომანტიზმის მხატვრული მეთოდით შექმნილი ნაწარმოებები გრძნობად-ემოციური მიდგომის აუცილებლობას უსვამს ხაზს. ამის საუკეთესო მაგალითია ფრ. შლეგელის რომანი „ლუცინდე“ (1799წ),

რომელიც მისი თეორიული ნაშრომის „ფრაგმენტების“ ძირითადი იდეების მხატვრულ ხორცშესხმას გულისხმობს.

რომანი მოფიქრებულია, როგორც სინამდვილისადმი სუბიექტივისტურ – იდეალისტური დამოკიდებულების მხატვრული ილუსტრაცია. იგი წარმოადგენს იმის ნიმუშს, რასაც შლეგელი უწოდებს რომანტიკულ ირონიას, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტის ფიხტესებური უარყოფა და აღიარება მხოლოდ სუბიექტის და მისი პრეტენზიებისა.

The theoretical understanding of the worldview of Romanticism is carried out in the philosophical teachings of Fichte and Schelling, And the Schlegel brothers are the rare exception in the history of European culture who have attempted to subject philosophical provisions to art. Their work is interesting in this regard. They cross a bridge between theoretical and subject aesthetics. The best demonstration of this point of view is their theoretical works “Schools of Greek Poetry” and “Fragments” and their subject-aesthetic implementation. These theoretical works emphasize the fact that in Greek culture there was a complete balance between the material and the ideal, the physical and the spiritual.

They consider this to be the most essential weakness of the artistic assimilation of the world in Greek culture. In their view, this weakness in the artistic assimilation of the world of Greek culture must be overcome by the ideal of Christian art, which is focused on the spiritual and seems to neglect the material. In our view, these theoretical views of the Schlegel brothers were motivated by practical purposes.

The Schlegel brothers aimed to reject the aesthetic principles of classicism that prevailed at the time. The aesthetic of classicism considered rationality and not emotionality, clarity and not mysticism as a necessary condition of a work of art. Strict regulation, orderliness and harmony, which in turn removed the emotional charge from the artistic fabric, and art in the dry sense appeared as a phenomenon similar to the scientific nature.

The aesthetics of Romanticism contrasts with this position, and the work created by the artistic method of Romanticism emphasizes the need for a sensory-emotional approach. The best demonstration of this is Fr.

Schlegel's novel "Lucinde" (1799), which deals with the artistic embodiment of the basic ideas of the "fragments" of his theoretical work.

The novel is perceived as an artistic illustration of a subjectivist-idealistic attitude towards reality. It is a specimen of what Schlegel calls a romantic irony based on the fixture rejection of the object and the sharing of only the subject and his claims.



ტბეთის თემის წარსული და თანამედროვეობა  
საისტორიო და ეთნოგრაფიული წყაროების  
მიხედვით (შავშეთი, თურქეთის რესპუბლიკა)

THE PAST AND PRESENT OF TBETI COMMUNITY  
ACCORDING TO HISTORICAL AND ETHNOGRAPHIC  
SOURCES (SHAVSHETI, REPUBLIC OF TURKEY)

როზეტა გუჯეჯიანი  
Rozeta Gujejiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ტბეთის თემი, ეთნოგრაფიული წყაროები,  
შავშეთი, თურქეთის რესპუბლიკა

**Keywords:** Tbeti community, ethnographic sources, Shavsheti,  
Republic of Turkey

ტბეთი ისტორიული შავშეთის შემადგენელი ძველი სოფელია და მისი მკვიდრნი ქართული წარმომავლობისანი არიან, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებისათვის იქაურთა დიდ ნაწილს შეეცვალა ეთნიკური იდენტობა და ნელ-ნელა შეიზღუდა ქართული ენის გავრცელების არეალი. 1925 წლიდან სოფელს ოფიციალურად დაერქვა „ჯევიზლი“, რაც „კაკლიანს“ ნიშნავს, მაგრამ დღემდე სოფლის ძველი სახელი კვლავ გამოიყენება და მას თურქულად ხმოვნის ჩამატებით – „ტიბეტ“ – წარმოთქვამენ. ტბეთი შავშეთის დღევანდელი ადმინისტრაციული ცენტრიდან, რომელსაც ჰქვია შავშათი (ისტორიული სათლელი) დაშორებულია 13 კილომეტრით. 2010 წლის სტატისტიკით სოფლად ცხოვრობს 362 ადამიანი. სოფლის შუაგულში ტბეთის მონასტრის ნანგრევია. მიუხედავად ეთნიკური იდენტობის შეცვლისა, სოფლის ყოფა ტიპური მაგალითია ამ რეგიონის ტრადიციული ქართული კულტურულ-სამეურნეო ტიპისა, კვლავ შენარჩუნებულია ქართული ხალხური არქიტექტურის ადგილობრივი ვარიანტი – შავშურ-იმერხეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი; ცოცხალია მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობისა და ხელოსნობის დარგები: მჭედლობა, ქვითა და ხით ხურობა, მეთუნე.

Tbeti is an old village in the historical Shavsheti and its inhabitants are of Georgian origin, but by the 70s of the nineteenth century a large part of the locals changed their ethnic identity and the area of spreading the Georgian language was gradually limited. Since 1925, the village has been officially called “Jevizli”, which means “Kakliani”, but the old name of the village is still used nowadays and it is pronounced in Turkish manner as “Tibet”. Tbeti is 13 kilometres away from the current administrative centre of Shavsheti, which is called Shavshati (historical Satleli). According to 2010 statistics, the population of the village is 362 people. In the middle of the village is the ruin of Tbeti Monastery. Despite the change of ethnic identity of the villagers, the image of the village is a typical example of a settlement of the traditional Georgian cultural-economic type of this region, the local variation of the Georgian folk architecture is still preserved – the black-and-white residential and agricultural buildings; The farming,

cattle-breeding, beekeeping and handicrafts, blacksmithing, wood carving, metallurgy; traditional nutrition system, historical micro and macro toponyms, etc. are still preserved.

This village is also relevant for pilgrimage tourism, as there is a Tbeti Monastery. In recent years, the idea has emerged among the people of Tbeti to restore the Tbeti Monastery to make it an attractive place for tourism. In 2020, Van Yüzüncü Yıl University Assistant Professor, Archaeologist Osman Aitekin carried out the cleaning works of the Tbeti Monastery (under the supervision of the Arzrum Museum Directorate). An important source for the study of the history of Tbeti and Tbeti Monastery is the story of Fakir Baikurt (1929-1999) "The Church of Jevizli", translated by Mzia Gurgendidze. Fakir Baikurti worked as a teacher in the Shavsheti region in the 1950s. He was a writer and publicist with a social-democratic worldview. While working in the Shavsheti region, Fakir Baikurt collected rich ethnographic data from locals (legends about the Tbeti Church, history of the church's demolition), based on which he wrote the short story "The Church of Jevizli". This story is included in his book "Efkar Hill", which has been published several times. Fakir Baikurt's story "Jevizli Church" is an important source for studying the being of the village of Tbeti and the history of the Tbeti Monastery of the Mother of God.



თხოვნასთან დაკავშირებული დისკურსული  
სტრატეგიები  
(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

REQUEST-RELATED DISCOURSE STRATEGIES  
(ON THE MATERIAL OF ENGLISH AND GEORGIAN  
LANGUAGES)

ირინე დემეტრაძე

Irine Demetradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** თხოვნა, მათხოვრობა, დისკურსული  
სტრატეგია, სახის შელახვის შერბილება, მიმართვის  
ფორმები, გულწრფელობა.

**Keywords:** Request, begging, discourse strategy, mitigation of face-  
threat, forms of address, sincerity.

მოხსენებაში განხილულია თხოვნასთან დაკავშირებული სამეტყველო სიტუაციები მათხოვრების მიერ გამოყენებული დისკურსული სტრატეგიების მაგალითზე. მოცემული სტრატეგიები განალიზებულია ინგლისური და ქართული ენებისა და კულტურების სპეციფიკის გათვალისწინებით. კვლევის მეთოდოლოგია ემყარება სამეტყველო აქტებისა და თავაზიანობის თეორიებს. ემპირიული მასალა აღებულია ცოცხალი მეტყველებიდან და ინტერნეტიდან. კვლევამ აჩვენა, რომ, გამვლელთა ყურადღების მიქცევის მიზნით, მათხოვრები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ. ცნობილია, რომ თხოვნა თავისთავად წარმოადგენს „სახის შემლახველ“ სამეტყველო აქტს. ბუნებრივია, რომ ადამიანის „სახეს“ კიდევ უფრო დიდი საფრთხე ექმნება მათხოვრობის შემთხვევაში.

ამდენად, მათხოვრების მიერ გამოყენებული დისკურსული სტრატეგიები მიზნად ისახავს, რომ შენარჩუნდეს მოსაუბრის „სახე“ და არ გალიზიანდეს ადრესატი. კვლევამ გამოავლინა თხოვნის დისკურსის შემდეგი წარმატებული სტრატეგიები:

1. თავაზიანობის ფორმულების შემცველი შესავალი ფრაზები და სიტყვები;
2. არაპირდაპირი საუბარი, როგორც „სახის შენარჩუნების“ სტრატეგია;
3. კითხვითი წინადადებების გამოყენება დირექტიული სამეტყველო აქტების „შესარბილებლად“;
4. მიმართვის სპეციფიკური ფორმები;
5. ქათინაურები;
6. მადლიერების გამოხატვა და დალოცვის ფორმულები.

მოხსენებაში განხილულია თხოვნასთან დაკავშირებული ზეპირი და წერილობითი დისკურსი. ეს უკანასკნელი განალიზებულია მათხოვრების მიერ გამოყენებული წარწერების მასალაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იუმორზე, რომელსაც ინგლისურენოვანი მათხოვრები ხშირად იყენებენ თავიანთ წარწერებში, მაგრამ ქართულ რეალობაში თხოვნის შემცველი იუმორისტული წარწერები ძალზე იშვიათია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ასევე გულწრფელობის ფაქტორი, რომელიც განხილულია ჯ. ოსტინის „იღბლიანობის პირობებისა“ და გრაისის „კოოპერაციის პრინციპის“ კუთხით.

წყაროების თანახმად, გამვლელი უფრო ხშირად ეხმარებიან იმ მათხოვრებს, რომლებიც გულწრფელად ითხოვენ დახმარებას. ამდენად, როგორც კვლევამ აჩვენა, გულწრფელობა განსაკუთრებით წარმატებული დისკურსული სტრატეგიაა თხოვნასთან დაკავშირებულ სამეტყველო სიტუაციაში.

### **ლიტერატურა:**

- ოსტინი ჯ.** – Austin J. 1965. How to Do Things with Words. N-Y, Oxford University Press.
- ბრაუნი და ლევინსონი** – Brown P. & Levinson S. 2000. Politeness. Some Universals in Language Usage. Cambridge University Press.
- ბრაუნი და ლევინსონი** – Brown P. & Levinson S. 1987. Universals in Language Usage: Politeness Phenomena. Cambridge University Press.
- დოლაპო ო.ტ.** – Dolapo O.T. (2013). A Socio – Linguistic Analysis of The Discourse of Igbo Beggars. An Original Long Essay Submitted to the department of Linguistics and Nigerian Languages, Faculty of Arts, Ekiti State University, Ado – Ekiti, Ekiti State, Nigeria. Matric Number: 0804451.
- გრისი ჰ. პ.** – Grice H.P. 1975. Logic and Conversation. In P. Cole & J.L. Morgan (Eds), Syntax and Semantics: vol 3. Speech Acts (pp. 41-58). New-York, Academic Press.
- მანდელბაუმი და პომერანცი** – Mandelbaum J. & Pomerantz A. 1991. What Drives Social Action? in K. Tracy (Ed.), Understanding Face-to-face Interaction. Lawrence Erlbaum Associates Publishers, New Jersey, pp. 151-167.
- ო'კიფი** – O'Keefe B.J. 1991. Message Design Logic and the Management of Multiple Goals. In K. Tracy (Ed.). Understanding Face-to-face Interaction. Lawrence Erlbaum Associates Publishers. New Jersey, pp. 131-151.
- ოლაუსუნ იბრაჰიმ ესანი** – Olaosun Ibrahim Esan. (2009). Panhandlers as Rhetors: Discourse Practices of Peripatetic Beggars in Southwestern Nigeria. California Linguistic Notes Volume XXXIV No. 2.
- როუზი ა. ჯ.** – Rose, A. J. (1989). The Beggar 's Free Speech. Indiana Law Journal: Vol. 65 : Iss. 1 , Article 9.
- საფიანუ მ.** – Safianu, M. "Oh! How appropriate!" Compliments and Politeness. In Linguistic Politeness Across Boundaries. Published by John Benjamins. pp: 391-430.

**სერლი ჯ.** – Searle, John. 1969. *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge. Cambridge University Press.

**ტანენი დ.** – Tannen D.1987. “When You Shouldn’t Tell It Like It Is”. *The Washington Post*, March 1, 1987.

**ტროგოვ და პრატი** – Traugott, E.C and Pratt, M. L. 1980. *Linguistics for Students of Literature*. New York: Harcourt Brace Jovanovich INC.

The paper is an attempt to analyze request-related speech-situations based on the discourse strategies used by beggars. These strategies are analyzed on the material of English and Georgian languages and cultures. The theoretical framework of the research embraces speech act theory and politeness. The empirical material is taken from live speech and numerous internet resources. Research has proved that beggars apply diverse strategies in order to impress passers-by and avoid their irritation. It is well known that any request is a face-threatening act. Naturally, the threat to face is aggravated in a situation when a person has to beg. Therefore, the discourse of panhandlers abounds in strategies aimed at the mitigation of this threat. Successful begging strategies identified in the given research embrace the following: 1. Introductory words and phrases that make the begging acts polite; 2. The use of indirectness as face-saving strategy; 3. The use of interrogative forms, which make the directive utterances less categorical; 4. Specific forms of address; 5. Compliments; 6. Expressions of gratitude, blessings and prayers. The discourse of panhandlers embraces both oral and written means. Apart from oral discourse strategies, the paper analyzes the written discourse of beggars on the example of signs they hold. Apart from analyzing the diversity of content of begging signs, the author makes special focus on humour as a successful strategy often used by English-speaking beggars, but extremely rare in the Georgian reality. Special focus is made on the topic of sincerity, analyzed from the viewpoint of J. Austin’s “Felicity Conditions” and Grice’s “Cooperative Principle”. According to numerous comments on the internet, people are inclined to give money to those panhandlers who look and sound sincere. Thus, research has proved that sincerity is one of major preconditions for successful begging.



## References:

- Austin, J.** 1965. *How to Do Things with Words*. N-Y, Oxford University Press.
- Brown P. & Levinson S.** 2000. *Politeness. Some Universals in Language Usage*. Cambridge University Press.
- Brown P. & Levinson S.** 1987. *Universals in Language Usage: Politeness Phenomena*. Cambridge University Press.
- Dolapo, O. T.** (2013). *A Socio – Linguistic Analysis of the Discourse of Igbo Beggars*. An Original Long Essay Submitted to the department of Linguistics and Nigerian Languages, Faculty of Arts, Ekiti State University, Ado – Ekiti, Ekiti State, Nigeria. Matric Number: 0804451.
- Grice, H. P.** 1975. *Logic and Conversation*. In P. Cole & J.L. Morgan (Eds), *Syntax and Semantics: vol 3. Speech Acts* (pp. 41-58). New-York, Academic Press.
- Mandelbaum J. & Pomerantz A.** 1991. *What Drives Social Action?* in K. Tracy (Ed.), *Understanding Face-to-face Interaction*. Lawrence Erlbaum Associates Publishers, New Jersey, pp. 151-167.
- O’Keefe, B. J.** 1991. *Message Design Logic and the Management of Multiple Goals*. In K. Tracy (Ed.). *Understanding Face-to-face Interaction*. Lawrence Erlbaum Associates Publishers. New Jersey, pp. 131-151.
- Olaosun Ibrahim Esan.** (2009). *Panhandlers as Rhetors: Discourse Practices of Peripatetic Beggars in Southwestern Nigeria*. *California Linguistic Notes*, Volume XXXIV No. 2.
- Rose, A. J.** (1989). *The Beggar ‘s Free Speech*. *Indiana Law Journal*: Vol. 65: Iss. 1, Article 9.
- Safianu, M.** “Oh! How appropriate!” *Compliments and Politeness*. In *Linguistic Politeness Across Boundaries*. Published by John Benjamins. pp: 391-430.
- Searle, John.** 1969. *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge. Cambridge University Press.
- Tannen, D.** 1987. “When You Shouldn’t Tell It Like It Is”. *The Washington Post*, **March 1, 1987**.
- Traugott, E. C and Pratt, M. L.** 1980. *Linguistics for Students of Literature*. New York: Harcourt Brace Jovanovich INC.



სინონიმია და ძირითად მინიმალური წყვილები  
არაბულში

SYNONYMY AND MINIMAL PAIRS OF ROOTS IN ARABIC

ნინო ეჯიბაძე

Nino Ejibadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** არაბული, ენა, სინონიმია, სინქრონია,  
დიაქრონია

**Keywords:** Arabic, language, synonymy, synchrony, diachrony

მოხსენება მიზნად ისახავს სინონიმის საკითხებში გარკვევის მცდელობას არაბული ენის მასალის საფუძველზე. მასალა განხილულია დიგლოსიურ ქრილში, სათანადო სინქრონიული და დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით.

1. არაბულში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე აღსანიშნს შეესაბამება სხვადასხვა აღმნიშვნელი არაბო-ფონური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში; იმავდროულად, სიფრთხილეს მოითხოვს ისეთი ლექსემები, რომლებიც რეგიონული პოლისემიურობით ხასიათდებიან.

2. იმ სიტყვათა ერთი ნაწილი, რომლებიც შეიძლება სინონიმებად ჩავთვალოთ, ენის განვითარების განმავლობაში სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგად დაუახლოვდა ერთმანეთს; მათი ამოსავალი მნიშვნელობები განსხვავებული იყო, თუმც კი მიახლოებულ სემანტიკურ ველს წარმოადგენდა.

3. არსებობს მოსაზრება, რომ არაბული ძირის ამოსავალი იყო ორთანხმოვნიანი შემადგენელი, რომელმაც შემდგომში გარკვეულ მორფთა შერწყმის შედეგად გაიძლიერა შემადგენლობა სამ და ოთხთანხმოვნიანამდე. ამის დასტურად შეიძლება წარმოვადგინოთ საკმაოდ მრავალრიცხოვანი წყვილები ძირებისა (და მათი სათანადო დერივატების), რომლებსაც ორი ძირისეული თანხმოვანი იდენტური აქვთ, ხოლო მათი ზოგადი სემანტიკა მიახლოებული ან იდენტურია; ამასთანავე, ნათქვამი არ გულისხმობს ამ ძირთა ყველა შემდგომი დერივატის იდენტურ მნიშვნელობას.

4. საბოლოოდ, არაბულში სინონიმის არსებობის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს სინქრონიაში – რეგიონალიზმი, ასევე – ლექსიკურ ერთეულთა დიაქრონიული სემანტიკური და ძირთა დიაქრონიული მორფოფონეტიკური ტრანსფორმაციები.

## ლიტერატურა:

Гранде, Б.М. (1963). Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва: издательство восточной литературы.

Юшманов, И.В. (2017). Грамматика литературного Арабского языка, Москва:

ЛКИ

ابن هشام اللخمي (3002). تقويم اللسان. دبي: دار البشائر الإسلامية

ابن الشجري(2991)، ما تافق لفظها واختلف معناه. بيروت: دار المناهل  
قاموس المعاني <https://www.almaany.com>  
<https://mawdoo3.com>

The paper aims to discuss the issues of synonymy based on the material of the Arabic language, which is studied in a diglossive cut, taking into account the corresponding synchronous and diachronic data.

1. An Arabic, the case is confirmed when different words correspond to one meaning in different parts of the Arabophonic world. At the same time, the lexemes characterized by the regional polysemy require careful handling.

2. One part of the words, which can be considered synonyms, have converged during the development of the language; their initial values were different, although they belonged to the same semantic field.

3. There is an assumption that the original Arabic root was two-constituent; later, by merging different morphs, these roots strengthened their composition to three and four radicals. In support of this judgment, one can recall quite a few pairs of roots with two identical consonants, and their semantics are very close; at the same time, the above mentioned does not mean the identical meaning for all subsequent derivatives.

4. Ultimately, in the Arabic language, the reason for synonymy can be perceived to be regionalism, in synchronous cut, along with diachronic semantic transformations of lexical units and morphophonemic transformations of roots.

## References:

Гранде, Б.М. (1963). Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва: издательство восточной литературы  
Юшманов, И.В. (2017). Грамматика литературного Арабского языка, Москва: ЛКИ

ابن هشام اللخمي (3002). تقويم اللسان. دبي: دار البشائر الإسلامية  
ابن الشجري(2991)، ما تافق لفظها واختلف معناه. بيروت: دار المناهل  
قاموس المعاني <https://www.almaany.com>  
<https://mawdoo3.com>



**როდის არის ადამიანი კაცი?  
ბიოტექნოლოგიებით გამოწვეული ეთიკური  
დილემები**

**WHEN IS A HUMAN A PERSON?  
ETHICAL DILEMMAS POSED BY BIOTECHNOLOGIES**

**ანასტასია ზაქარიაძე**

**Anastasia Zakariadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ლიბერალური ევგენიკა, ეთიკური თვით-  
გაგება, ბიოტექნოლოგიური პროცესები და ეთიკური  
რეგულაციები

**Keywords:** Liberal eugenics, ethical self-understanding, biotechno-  
logical processes and ethical regulations

როგორ შევაფასოთ ახალი ბიოტექნოლოგიები, რომლებიც აერთიანებს, ერთი მხრივ, ადამიანისათვის უზარმაზარ პოტენციურ სარგებელს და, მეორეს მხრივ – კოლოსალურ ფიზიკურ და სულიერ საფრთხეებს, მაგალითად ისეთებს, როგორებიცაა: ახალი ვირუსებით გამოწვეული პანდემიები, გენმოდირებული საკვები, ეკოლოგიური დაბინძურება და თანმდევი ტოქსიკური რეაქციები, და სხვ.<sup>1</sup>

ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ემუქრება არა ახალი ტექნოლოგიები და სხვადასხვა ტიპის სიკვდილის მანქანები, არამედ Gestell-ის წესი (ჰაიდეგერის ტერმინი), რომელიც აქრობს ადამიანის არსს. Gestell / ბუკვალურად „ჩარჩოებში“ მოქცევა/ გულისხმობს ტექნოლოგიის იმგვარ ყოვლისმომცველ ხედვას, როდესაც იგი ადამიანის ყოფიერების საშუალებად წარმოდგება. ტექნოლოგიის ამგვარი გაგება ენაცვლება მის, როგორც მიზნის მიღწევის საშუალების, ტრადიციულ გაგებას (ჰაიდეგერი, 2008 : 308). „ჩაჩარჩოებულ“ ადამიანად ყოფნა ნიშნავს გარემომცველი გარემოს გამოწვევების წინაშე ყოფნას. Gestell-ის წესით გაფორმებულ ადამიანს ემუქრება თვითობის დაკარგვა, მეტაფიზიკურთან ზიარების გაუქმება, ანუ მას აღარ ექნება დაშვება თავური ქეშმარიტების განცდასთან. აი აქ და მაშინ ადამიანი დაკარგავს ადამიანურ იდენტობას, ღირსებას, უფლებებს; მისი პერსონულობა სრულად გაიჟღინთება და გადაიფარება ეგოიზმით/ რაციონალური ეგოიზმით. აქ ქრება ადამიანი – კაცი; იგი დაკარგავს “საკუთარ თავად ყოფნის შესაძლებლობას.“

ჰაბერმასი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოსტინდუსტრიული ხანის ადამიანი არის ლიბერალური ეგვნიკის გზაზე მდგარი

---

<sup>1</sup> ბიოტექნოლოგიების საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ჯერემი რიფკინის კვლევებს განსაკუთრებით მის დისტოპიას „ალგენია: ახალი სიტყვა, ახალი სამყარო, და მისივე „ვინ თამაშობს ღმერთის როლს?“ ასევე ლი სილვერის „სამოთხის რიმიეჩი: კლონირებით მამაცი, ახალი სამყაროს იქით“. თანამედროვე ამერიკელი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე თომ ვულფი გასული საუკუნის დასასრულს „ფორბსში“ გამოქვეყნებულ წინასწარმეტყველურ სტატიას სახელწოდებით „უკაცრავად, მაგრამ თქვენი სული უბრალოდ მოკვდა“ უძღვნის ბიოტექნოლოგიების უკონტროლოდ გამოყენების საფრთხეებს.



(ჰაბერმასი, 2005:78). ამ ფაქტობრივ მოცემულობაში ცხადდება ეთიკური თვითგაგების საკითხი არა ოდენ, პერსონულად, არამედ ზოგადად ადამიანური მოდემისათვის. პრობლემად ქცეული საკითხის გახსნისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მისი მორალურ განზომილებაში გადატანა.

ბიოტექნოლოგიურ პროცესებში ეთიკური რეგულაციების ჩართვა არნახულ წინააღმდეგობებს აწყდება. წინ იწევს საზოგადოებისათვის კომფორტის შემქმნელი და ადამიანისათვის თითქოსდა „მავნე ეფექტებისაგან“ დაცლილი საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო ქსელისათვის ხელშეწყობა.<sup>1</sup>

ბიოტექნოლოგიური რეგულაციის რეგლამენტაცია და მისი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელია ზნეობრივი ღირებულებების დაცვა-შენარჩუნებით.

### **ლიტერატურა:**

**ვულფი, ტ.** (2000). უკაცრავად, მაგრამ თქვენი სული უბრალოდ მოკვდა, ნიუ იორკი: ფარა, სტრაუსი და ჟირო. (I გამოცემა 1993).

**იონასი, ჰ.** (1984). პასუხისმგებლობის იმპერატივი: ტექნოლოგიური ხანის ეთიკის ძიებაში, ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISBN 0-226-40596-6.

**რიფკინი, ჯ.** (1983). ალგენია: ახალი სიტყვა, ახალი სამყარო, ნიუ-იორკი: ვილკინგი. ISBN-10 | : | 0670108855.

**რიფკინი, ჯ.** (1977). ვინ თამაშობს ღმერთის როლს? ნიუ-იორკი: დელი. ISBN-10 | : 0440195047; ISBN-13: 978-044019504.

**სილვერი, ლ.** (1998). ედემის რიმეიქი: კლონირება არა ოდენ საოცარ ახალ სამყაროში, ნიუ-იორკი: ეივონი.

---

<sup>1</sup> კონტინენტურ ფილოსოფიაში ორტეგა-ი-გასეტისა და მარტინ ჰაიდეგერის მიერ ტექნიკის ფილოსოფიის ფენომენოლოგიური ანალიზს, მოსდევს ჰანს იონასის ტექნოგენური ცივილიზაციის პირობების სიღრმისეული კვლევა, მორალური აგენტის არსის გახსნა და პასუხისმგებლობის ეთიკის დაფუძნება. იხ. მისი „პასუხისმგებლობის ეთიკა“; ამ საკითხების განხილვის საინტერესო კუთხეს პოულობს ფრენსის ფუკუიამა წიგნში „დიდი გარღვევა: ადამიანური ბუნება და სოციალური წესრიგის რეკონსტრუქცია“, განსაკუთრებით გვ. 212-230.

- სინგერი, პ. ვაინსი, ა.** (რედ.) (2009). კემბრიჯის სახელმძღვანელო ბიოეთიკაში, კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISBN: 9780511545566, DOI: <https://doi.org/10.1017/CBO9780511545566>.
- ფუკუიამა, ფ.** (2002). ჩვენი პოსტადამიანური მომავალი, ნიუ იორკი: ფარა, სტრაუსი და ჟირო. ISBN 0-374-23643-7.
- ფუკუიამა, ფ.** (1999). დიდი გარღვევა: ადამიანური ბუნება და სოციალური წესრიგის რეკონსტრუქცია, ნიუ-ორკი, თავისუფალი გამომცემლობა.
- ჰაბერმასი, ი.** (2005). ადამიანური ბუნების მომავალი, ოქსფორდი: კამბრიჯი ბლეკველის გამომცემლობასთან ერთად. ISBN: 0-7456-2986-5 (hc); 0-7456-2987-3 (pb, UK only).
- ჰაიდეგერი, მ.** (2008). თხზულებები, ჰარპერის მრავალწლიანი კლასიკური თანამედროვე კლასიკის გამომცემლობა, შესწორებული, გაფართოებული რედაქტირებული გამოცემა. ISBN-10: |0061627011, ISBN-13 : |978-0061627019.

How to evaluate new biotechnologies that combine, on the one hand, enormous potential benefits for humans and, on the other hand, colossal physical and spiritual threats, such as pandemics caused by new viruses, genetically modified food, environmental pollution and associated toxic reactions, etc.?<sup>1</sup>

Humans are primarily threatened not by new technologies and different types of death machines, but by the Gestell rule (Heidegger term), which erases the human essence (Heidegger, 2008:308). Gestell (literally “Enframing”) refers to such an all-encompassing view of technology as a mode of human existence. This understanding of technology replaces the traditional understanding of it as a means to an end. Being an “Enframed” person means facing the challenges of the environment. A human-shaped

---

<sup>1</sup> Readers interested in biotechnology are advised to read Jeremy Rifkin’s researches, especially his *Algeny: A New Word, a New World*, New York and *Who Plays God?*, also *Remaking Eden: Cloning and Beyond in a Brave New World* by Lee M. Silver; Contemporary American thinker and public figure Tom Wolfe addresses the dangers of uncontrolled use of biotechnology in a prophetic article named “Sorry, but your soul Just Died” published by Forbes at the end of the last century.

by the Gestell rule is in danger of losing his self, of communion with the metaphysical, he/she will have no access to the very sense of prime cause truth. Human loses identity, dignity, rights; their personality is completely ignited and covered with selfishness / rational selfishness. Human-person disappears here; He/she will lose “his/her own possibility of being himself/herself. “

Habermas rightly points out that the human of the post-industrial era is on the path to liberal eugenics (Habermas, 2005:78). This factual fact raises the question of ethical self-understanding not so much for him/her, but for the human race in general. To solve the problem, we consider it necessary to move it to the moral dimension. “

The inclusion of ethical regulations in biotechnological processes faces unprecedented contradictions. Promoting the promotion of a wide network of information technologies that create comfort for the public and are seemingly devoid of harmful effects on humans<sup>1</sup>.

The regulation of the biotechnological revolution and its negative consequences can be avoided by preserving and maintaining moral values.

## References:

**Fukuyama, Frances** (2002). *Our Posthuman Future*, New York: Farrar Straus & Giroux, ISBN 0-374-23643-7.

**Fukuyama, Frances** (1999). *The Great Disruption: Human Nature and the Reconstruction of Social Order*, New York: Free Press.

**Habermas, J.** (2005). *The Future of Human Nature*, Oxford: Cambridge, in association with Blackwell Publishing (ISBN: 0-7456-2986-5 (hc); 0-7456-2987-3 (pb, UK only).

---

<sup>1</sup> Phenomenological analysis of the philosophy of technology in continental philosophy by Ortega y Gasset and Martin Heidegger is followed by Hans Jonas's in-depth study of technogenic civilization, revealing the essence of the moral agent and establishing an ethics of responsibility. See his “The Imperative of Responsibility: In Search of Ethics for the Technological Age”. Francis Fukuyama finds an interesting angle to discuss these issues in his book “The Great Disruption: Human Nature and the Reconstruction of Social Order”, with special attention on pages 212-230.

- Heidegger, Martin** (2008). *Basic Writings*, New York: Harper Perennial Modern Classics; Revised, Expanded ed. Edition, ISBN-10: | 0061627011, ISBN-13 : | 978-0061627019.
- Jonas, H.** (1984). *The Imperative of Responsibility: In Search of Ethics for the Technological Age*. Chicago: University of Chicago Press. ISBN 0-226-40596-6.
- Rifkin, J.** (1983). *Algeny: A New Word, a New World*, New York: Vilking. ISBN-10 | : | 0670108855.
- Rifkin, J.** (1977). *Who Plays God?* New York: Dell. ISBN-10 | : 0440195047 ISBN-13:978-044019504.
- Silver L.** (1998). *Remaking Eden: Cloning and Beyond in a Brave New World*, New York: Avon.
- Singer, P. Viens, A.** (Ed.) (2009). *The Cambridge Textbook of Bioethics*, Cambridge University Press. ISBN: 9780511545566, DOI: <https://doi.org/10.1017/CBO9780511545566>.
- Wolfe, Tom** (2000). "Sorry, but your soul Just Died", New York: Farrar, Straus, and Giroux, 1 edition 1993.

**დიალოგის პრაგმატული ფუნქციები და  
ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი  
მხატვრულ ტექსტში**

**/გ. დოჩანაშვილის მოთხრობების მიხედვით/**

**PRAGMATIC FUNCTIONS AND SOME LINGUISTIC  
CHARACTERISTICS OF THE DIALOGUE  
IN THE LITERARY TEXT**

**/ACCORDING THE EXAMPLES FROM G. DOCHANASHVILI'S  
STORIES/**

**რუსუდან ზექალაშვილი**

**Rusudan Zekalashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მწერლის ენა, ფიქტიური დიალოგი,  
დიალოგის სიგნალები, ენობრივი მახასიათებლები

**Keywords:** Writer's language, dialogue's signals, fictional dialogue,  
linguistic characteristics

დიალოგი ადამიანური კომუნიკაციის ერთ-ერთი ურთულესი, მაგრამ ძალზე გავრცელებული ფორმაა. მართალია, თანამედროვე ლინგვისტიკა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სპონტანურ ყოფით საუბრებს, მაგრამ კვლევისთვის საინტერესოა პროზაული ლიტერატურული ნაწარმოებების დიალოგებიც. ეს ერთ-ერთი დინამიკური საშუალებაა პერსონაჟთა დახასიათებისა და მათი ურთიერთობის, ქცევებისა და ქმედებების ინტერპრეტაციისათვის. დიალოგთა მრავალფეროვნება და ხასიათი განპირობებულია გადმოსაცემი შინაარსითა და ავტორის მიზანდასახულებით. სხვაობა რეალურ და მოდელირებულ (მწერლისეულ) დიალოგებს შორის აშკარაა, მაგრამ მათი ძირითადი ენობრივი მახასიათებლები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება.

ნებისმიერი დიალოგის აგების სპეციფიკა თუ ენობრივი გაფორმება დამოკიდებულია მასში მონაწილეთა სოციალურ სტატუსზე, კომუნიკანტთა შორის ურთიერთობასა და საკომუნიკაციო სიტუაციაზე, მაგრამ რეალური დიალოგი სპონტანურია, მოუმზადებელი, მხატვრულ ლიტერატურაში კი ის ფიქტიურია (მოდელირებულია) და ექვემდებარება ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს.

სხვადასხვა ქართველი მწერლის ტექსტებში მოცემული დიალოგები წარიმართება ოფიციალურ ან არაოფიციალურ გარემოში და ძალზე მრავალფეროვანია როგორც შინაარსის, ისე ენობრივი გაფორმებისა თუ სტრუქტურის მიხედვით. განსაკუთრებით საინტერესოა სიმეტრიული და ასიმეტრიული დიალოგები, რომელთა დაყოფის საფუძველია კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლები და დიალოგის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულება.

ჩვენ შევისწავლეთ დიალოგები გ. დოჩანაშვილის რამდენიმე მოთხრობის მიხედვით, რომლებშიც გამოყენებულია მათი უამრავი ნაირსახეობა. გასაოცარია მწერლის ვირტუოზულობა. ხშირად მოთხრობა პირველივე ფრაზიდან დიალოგურია, საუბარი წარიმართება არა მარტო პერსონაჟებს შორის, არამედ ავტორი თავისი რემარკებით მრავალგზის მიმართავს მკითხველს და მასაც ხდის მოქმედების ერთ-ერთ მონაწილედ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოსაყოფია ვრცელი მოთხრობა „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.

ენობრივ მახასიათებელთა შორის უნდა დავასახელოთ ე.წ. დიალოგის სიგნალები: სტრუქტურულ-კომპოზიციური და შინა-არსობრივ-მოდულიზაციური. საყურადღებოა ასიმეტრიული დიალოგები, რომელთა შემადგენლობაში ვხვდებით ფატიკურ ლექსიკურ ერთეულებსაც. აღსანიშნავია ერთ-ერთი მხატვრული ხერხი, როცა პერსონაჟი დიალოგში რამდენიმე ფრაზას მეგრულად ამბობს და ამას მწერალი იყენებს, როგორც გაუცხოების ერთ-ერთ საშუალებას (მოთხრობა „იოჰან სებასტიან ბახი“).

დიალოგების სახეები განვიხილეთ და მათი ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი გამოვყავით გ. დოჩანაშვილის შემდეგ მოთხრობებში: „საქმე“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, „იოჰან სებასტიან ბახი“ და „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.

### **ლიტერატურა:**

- არუთინოვა, ნ. დ.** – Arutyunova, N. D. (1999). *Yazyk i mir cheloveka* [Language and the human world]. 2nd ed. rev. Moscow: Yazyki russoi kultury.
- ბახტინი, მ. მ.** – Bakhtin, M.M. (1996). *Problema rechevyh zhanrov* [The Problem of Speech Genres]. Bakhtin, M.M. *Sobranie sochinenij*, T. 5: *Raboty 1940-1960 gg.* [Collected Works, Vol. 5: Works from 1940–1960], Moscow: Russkie slovari, 159-206.
- ბრონვენი, თ.** – Bronwen, Th. (2012). *Fictional Dialogue: Speech and Conversation in the Modern and Postmodern Novel* (Frontiers of Narrative). Lincoln: University of Nebraska Press.
- დოჩანაშვილი, გ.** (2015). მოთხრობები (რედ. ნ. ელიზბარაშვილი), ნ. 2, თბილისი: მერიდიანი.
- ზექალაშვილი, რ.** (2012). ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბილისი: „უნივერსალი“.
- იაკუბინსკი, ლ. პ.** – Yakubinsky, L. P. (1986). *O dialogicheskoi rechi* [On Dialogical Speech]. *Izbrannye raboty: Jazyk i ego funkcionirovanie* [Selected Works: Language and its functioning]. 17-58. Moscow: Nauka.

**კვანტალიანი, ლ.** (1990). ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები (რედ. გ. როგავა), თბილისი: „მეცნიერება“.

**სერგია, ვ.** (1990). დიალოგური მეტყველება ახალი ქართული ენის მონაცემთა მიხედვით. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, №3, ენისა და ლიტერატურის სერია. ტ. 140, 645-647. თბილისი: „მეცნიერება“. ISSN 0132-1447.

Dialogues are one of the most complicated widely used forms of human communication. Indeed, modern time linguistics is mostly interested in real-time spontaneous dialogues, but the dialogues from the prosaic literary pieces are also very interesting. They represent one of the most dynamic means of interpretation and description of the interrelations, behaviour and varieties of the actions of the literary characters. The diversification and character of the dialogues are conditioned by the contents they are delivering and the aims of the author. Differences between the real and modelled by a writer dialogue are evident, but their main linguistic features do not differ very much.

The specifics of any dialogue building and its linguistic style depend on social status, interrelations of the communicants and the situation in which the given communication takes place, but a real, everyday style dialogue is spontaneous, not previously prepared and as for the fiction, it is modelled, a fiction which subordinates to the author's idea.

In the pieces of the different Georgian writers both types of dialogues – official and non-official are represented as multisided by their content, language or structure; especially, symmetric and asymmetric dialogues are very interesting; their division by types is based on the social characteristic features and mutual estimation and relations of the participants.

We have studied the dialogues in some literary pieces by Guram Dochanashvili and we discovered a lot of varieties among them. The virtuosity of the writer is clear; sometimes, a story begins with a dialogue from the very beginning; talk is going on not only the participants, but the author often uses his remarks to appeal to a reader and makes them a participant



of the given story. Especially interesting, from that point, is the story “Water(po)loo or the Recovery Work.”

The so-called dialogue signals have to also be named– structural-compositional and content-modification ones. Asymmetric dialogues are also very interesting; they contain phatic lexical units. One more interesting example is also the case of asymmetrical dialogue when a personage of one story (“Johannes Sebastian Bach”) utters some phrases in Megrelian, and this is used as a means of expressing the estrangement by the author.

We have discussed the dialogues from the following literature pieces by Guram Dochanashvili, with their linguistic characteristics: “The Case”, “The Man Who Loved Literature Very Much,”

“The Love of One Thing that Needs Hiding,” “Johannes Sebastian Bach” and “Water(po)loo or the Recovery Work”.

## References:

- Arutyunova, N. D.** (1999) *Yazyk i mir cheloveka* [Language and the human world]. 2nd ed. rev. Moscow: Yazyki russkoi kultury.
- Bakhtin, M. M.** (1996) *Problema rechevyh zhanrov* [The Problem of Speech Genres]. Bakhtin, M.M. *Sobranie sochinenij, T. 5: Raboty 1940-1960 gg.* [Collected Works, Vol. 5: Works from 1940-1960], Moscow: Russkie slovari, 159-206.
- Bronwen, Th.** (2012). *Fictional Dialogue: Speech and Conversation in the Modern and Postmodern Novel* (Frontiers of Narrative). Lincoln Nebraska: University of Nebraska Press.
- Dochanashvili, G.** (2015). *Motkhrobedi* [Stories], (ed. By N. Elizbarashvili), Vol. 2, Tbilisi: Meridiani.
- Zekalashvili, R.** (2012). *Kartuli dialoguri metqveleba (dziritadi lingvisturi da ekstralingvisturi makhasiateblebi)* [Georgian dialogic speech (Main linguistic and extra-linguistic characteristics)]. Tbilisi: Universali.
- Yakubinsky, L. P.** (1986). *O dialogicheskoy rechi* [On Dialogical Speech]. *Izbrannye raboty: Jazyk i ego funkcionirovanie* [Selected Works: Language and its functioning]. 17-58. Moscow: Nauka.

**Kvantaliani, L.** (1990). Kartuli zepiri metqvelebis sintaksis sakitkhebi. [Issues of the syntax of the Georgian oral speech] (ed. by G. Rogava), Tbilisi: Metsniereba.

**Sergia, V.** (1990). Dialoguri metqveleba akhali kartuli enis monatsemta mikhedvit [Dialogic speech according to the new Georgian language]. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, No3. Series of Language and Literature, Vol. 140. 645-647. Tbilisi: Metsniereba. ISSN 0132-1447.

**გეორგიევსკის ტრაქტატის წინაპირობები –  
რუსეთის იმპერიის სტრატეგიული ინტერესები  
და საქართველო XVIII საუკუნის 70-იან წლებსა  
და 80-იანი წლების დასაწყისში**

**PREREQUISITES FOR THE TREATY OF  
GEORGIEVSK – STRATEGIC INTERESTS OF THE RUSSIAN  
EMPIRE AND GEORGIA IN THE 1770S AND EARLY 80s**

**აპოლონ თაბუაშვილი**

**Apolon Tabuashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კავკასიის კორპუსი, მფარველობა,  
ერეკლე II, ეკატერინე II

**Keywords:** Caucasian Army Corps, Protectorate, Erekle II, Catherine II

1782 წლის ზაფხულის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო კარმა ყირიმის, ტამანისა და ყუბანის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა გადაწყვიტა. რუსეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ტერიტორიების ანექსიას ოსმალეთთან ომი მოჰყვებოდა. ამიტომ, მათ მოსალოდნელი ომისათვის აქტიური მზადება დაიწყეს. შემუშავებული გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის იმპერატორის შესაბამისი ბრძანება გამოიცა და მისი აღსრულებაც დაიწყო. ბრძანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კასპისპირეთიდან საქართველოს გავლით არნახულად გაძლიერებული კავკასიის კორპუსის იერიშის განხორციელება იყო. ქართველი მეფეები კი რუსულ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ მოწყობილი „დივერსიების“ საშუალებით უნდა დახმარებოდნენ. მათი ომში მონაწილეობის გარეშე თითქმის შეუძლებელი ხდებოდა სამხრეთ კავკასიაში დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით განხორციელება. შესაბამისად, ეკატერინე II-ის გეგმით ქართულ სამეფოებს სოლიდური მისია დაეკისრა.

ზემოხსენებულმა გარემოებებმა რუსეთის მთავრობას უბიძგა, რადიკალურად შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის მიმართ. რუსეთის საიმპერატორო კარმა სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა, წამოეწია მფარველობის საკითხი და ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები დაეწყო.

### **ლიტერატურა:**

**გროტომი, ია., შტენდმანი, გ.** – Гротом, Я., Штендман, Г. (1880). Сборник Императорского Русского Исторического Общества, Т. 27, Собраны академиком Я. Гротом и напечатаны под наблюдением Г. Штендмана, С.-Петербург: Имп. Акад. нау.

**ცაგარელი, ა.** – Цагарели, А. (1902). Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии, Т. II, вып. II, С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. С.-Петербург: Типография В. О. Киршбаума.

**ცინცაძე, ი.** (1960). 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

In the early summer of 1782, the Russian imperial court decided to finally settle the issue of Crimea, Taman, and Kuban. The Russian government believed that the annexation of these territories would lead to war with the Ottomans. Therefore, active preparations for the impending war began. For the successful implementation of the developed plan, the relevant order of the emperor was issued and its implementation swiftly began. One of the most significant components of the plan was a stealth attack through the Caucasus. The Georgian kings were to help the Russian army through “sabotage” against the Ottomans. Without their participation in the war, it would have been almost impossible to successfully carry out the planned operation in the South Caucasus. Accordingly, according to the plan of Catherine II, a significant part of the mission was assigned to the Georgian kingdoms.

The above circumstances prompted the Russian government to radically change its attitude towards Erekle II and Solomon I. For this very purpose, the Russian imperial court decided to raise the issue of patronage and began negotiations with the Georgian side.

### **References:**

- Groth, J., Stendman, G.** (1880). Collection of the Imperial Russian Historical Societies, vol. 27, Collected by Academician J. Groth and printed under observation by G. Stendman, S-Petersburg: Imperial Academy of Sciences.
- Tsagareli, A.** (1902). Charters and other historical documents of the 18th century related to Georgia, vol. II, issue II, from 1769 to 1801. ed. by A. Tsagareli. S-Petersburg: Topography of V. O. Kirschbaum.
- Tsintsadze, I.** (1960). 1783 wlis mfarvelobiti traqtati [Protective Treaty of 1783]. Tbilisi: Soviet Georgia.



**კოლოფონი, როგორც ოთხთავის პარატექსტი  
და მისი რედაქციები ძველი ქართული  
ხელნაწერების მიხედვით**

**A COLOPHON AS A PARATEXT OF THE FOUR GOSPELS  
AND ITS EDITIONS IN ACCORDANCE TO THE OLD  
GEORGIAN MANUSCRIPTS**

**დარეჯან თვალთვაძე**

**Darejan Tvaltvadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სახარება-ოთხთავი, პარატექსტი,  
კოლოფონი, ძველი ქართული ხელნაწერები  
**Keywords:** Four Gospels, Paratext, Colophon, Old Georgian  
Manuscripts

ხელით დაწერილ წიგნს, ისევე როგორს ნაბეჭდს, ძირითად ტექსტთან ერთად (ავტორის ტექსტი) შეიძლება ჰქონდეს პარატექსტების საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული სისტემა (ერთვოდეს პერიტექსტები და ეპიტექსტები), რომლის ელემენტები შეიძლება განსხვავებული იყოს ეპოქის, კულტურებისა და ჟანრების მიხედვით და იცვლებოდეს რედაქციიდან რედაქციამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ბიბლიური ტექსტების შემცველი ხელნაწერები, რომელთა გავრცელების (მათ შორის, სხვა ენებზე თარგმნის) პროცესში მისი ტექსტის ნაკითხვისა და აღქმის გაიოლების მიზნით თანდათან ჩნდება და ყალიბდება თანმხლები ტექსტების მთელი სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად ცვალებადია დროსა (ტექსტური ტიპები, რეცენზიები/რედაქციები) და სივრცეში (ვერსიები/სხვაენოვანი თარგმანები). კოდიკოლოგიაში პარატექსტი გულისხმობს ძირითადი ტექსტის თანმხლებ ყველანაირ ტექსტს, მათ შორის, ოთხთავის ხელნაწერებში თითოეული სახარების ბოლოს მიწერილ დასასრულის მიმანიშნებელ მოკლე უწყებას (Subscriptions), ინფორმაციას სახარების ავტორის, ზოგჯერ ტექსტის სტრუქტურისა და დანიშნულების შესახებ. ეს პარიტექსტები, რომლებიც ფუნქციურად კოლოფონებს წარმოადგენენ, ნელ-ნელა ივსება ახალი ინფორმაციით. თუ მათში თავიდან მხოლოდ სახარების ავტორის და დაწერის თარიღის შესახებ ცნობები გვაქვს, შემდეგ ემატება დაწერასთან დაკავშირებული დეტალებიც (რომელ ენაზე, ვისი ინიციატივით დაიწერა), ასევე, ერთგვარი სტატისტიკური მონაცემები (რამდენი მუხლი და სტრიქონია თითოეულ სახარებაში) და მითითება მათი ლიტურგიკული დანიშნულების შესახებ. სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში ამ ცვლილების ყველა ეტაპია ასახული.

მოხსენებაში ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის სხვადასხვა რედაქციის შემცველი ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე განვიხილავთ პარატექსტის ამ კონკრეტულ სახეობას და შევეცდებით ვაჩვენოთ, რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ძველ ქართულ ხელნაწერებში; განსხვავდებიან თუ არა სახარების რედაქციულად განსხვავებული ტექსტისშემცველი ხელნაწერები (წინაათონური და პოსტათონური პერიოდის) კოლოფონების მიხედვითაც და უკავშირდება თუ არა ტექსტის რედაქტირების (ძირითადად, მისი



„ბერძულისადა მიყვანების“) პროცესი ოთხთავის, როგორც კრებულის სტრუქტურის ცვლილებასაც და მის გამართვას „ბერძულსა წესსა ზედა“.

### **ლიტერატურა:**

ბიბლიის პარატექსტები – Paratexts of the Bible (ParaTexBib). Ludwig-Maximilians-Universität München. <http://paratextbib.eu/>

**გათერკოლი ს. ჯ.** – Simon J. Gathercole (2013) The Titles of the Gospels in the Earliest New Testament Manuscripts. Zeitschrift für die Neutestamentliche Wissenschaft und Kunde der Älteren Kirche. 104(1) <https://doi.org/10.1515/znw-2013-0002>

**თვალთვაძე, დ.** (2015) ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი, „სპეკალი“, 9. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines/9>

**ჟენეტი, ჟ.** – Genette, Gérard (1997) Paratexts: Thresholds of Interpretation. Cambridge. Cambridge University Press, <https://doi.org/10.1017/CBO9780511549373>

Similarly to a printed book, a handwritten book, along with the main text (an author’s text) may include a quite well-formed system of paratexts (peritexts and epitexts). Its elements may vary by epoch, culture or genre and may change from an edition to an edition. The manuscripts containing the biblical texts are outstanding in this respect. In the process of their spread (including translation into other languages), a whole system of accompanying texts gradually emerges to facilitate reading and comprehension of texts. The system is more or less changeable over time (types of texts, reviews/redactions) and space (versions/translations into other languages). In codicology, a paratext refers to all the texts that accompany the main text, including the subscriptions that are presented at the end of each Gospel of the Four Gospels, the information about an author of the Gospel, the structure and the purpose of a text. These peritexts, which are functionally colophons, are gradually filled with new information. If in the

beginning there is only the information about an author of the Gospel and a date of writing, afterwards, details about the writing (in which language and at whose initiative it was written), some statistical data (how many sections and lines are in each Gospel) and an indication of a liturgical purpose are added. The manuscripts of the Old Georgian translation of the Four Gospels reflect all the stages of the above-mentioned change.

The paper studies the manuscripts containing different redactions of the Old Georgian translations of the Four Gospels, discuss the above-mentioned type of a paratext and makes an attempt to show the existing situation via discussing the following questions: Do the different redactional manuscripts, that contain different texts of the Gospel, from the point of redaction, differ in accordance to the colophons of pre-Athonite and post-Athonite periods? Is the process of editing of the text (mainly “making like Greek”) related to the change of the structure of the collection and similarisation to “the Greek rule”?

## **References:**

- Genette, Gérard** (1997). *Paratexts: Thresholds of Interpretation*. Cambridge. Cambridge University Press, <https://doi.org/10.1017/CBO9780511549373>
- Simon J. Gathercole** (2013). The Titles of the Gospels in the Earliest New Testament Manuscripts. *Zeitschrift für die Neutestamentliche Wissenschaft und Kunde der Älteren Kirche*. 104(1) DOI: 10.1515/znw-2013-0002 DOI 10.1515/znw-2013-0002)
- Paratexts of the Bible (ParaTexBib). Ludwig-Maximilians-Universität München. <http://paratexbib.eu/>
- Tvaltvadze, D.** (2015). The Colophons accompanying the Aton Edition of the Gospel Manuscript and the Issue of the Establishment of the Aton Edition. “SPEKALI”, 9. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/m>

გენდერი ქართულ და გერმანულ ზღაპრებში  
GENDER ISSUES IN GEORGIAN AND GERMAN FAIRY TALES

სოფიო თოთიბაძე  
Sopio Totibadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, სოციოლინგვისტიკა, გენდერი  
Keywords: Fairy Tale, Sociolinguistics, Gender

ზღაპრის შესწავლა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით გულისხმობს იმ სოციალური პრობლემების შესწავლასაც, რომლებსაც უნდა გამკლავებოდა საზოგადოება ზღაპრის შექმნისა თუ დაწერის პერიოდში. შესაბამისად, ზღაპარი როგორც სოციალური ფენომენი, აირეკლავს საზოგადოებაში ფესვგადგმულ სტერეოტიპებს, მათ შორის გენდერულ როლებსაც. ამიტომ, ზღაპარი შეიძლება მივიჩნიოთ სოციოლინგვისტური ცოდნის საბადოდ, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ის მრავალი განსხვავებული თვალსაზრისით გავაანალიზოთ. მეტიც, ზღაპარი შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთ-ერთ პირველწყაროდ, რომელიც ბავშვს ქალისა და მამაკაცის როლებისადმი სტერეოტიპულ მოლოდინებსა და ცრურწმენებს უყალიბებს.

მოხსენებაში განხილულია ორი ზღაპარი: „რაპუნცელის“ გრიმებისეული ვერსია და თანამედროვე ქართული ზღაპარი „მთის გული“. ტექსტების ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ რაპუნცელში, როგორც ძველ, ტრადიციულ ზღაპარში, ვლინდება ქალის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება, ქალი ზღაპარში სახლის სფეროსთანაა ასოცირებული, პასიურია და ხშირად ხაზგასმულია მის გარეგნულ და არა გონებრივი შესაძლებლობები. თანამედროვე ზღაპარში კისაპირისპიროვითარებაა წარმოდგენილი, როდესაც ქალ პერსონაჟებს აღარ სჭირდებათ მამაკაცები, რომ მათ ხიფათი ააცილონ, არამედ არიან ბევრად უფრო აქტიურები და თავგადასავლების მოყვარულნი.

### **ლიტერატურა:**

- Bettelheim, B.** (1962). *The uses of enchantment: the meaning and importance of fairy tales.* New York: Vintage Books.
- Holmes, J.** (2006). *Gendered Talk at Work: Constructing Gender Identity through Workplace Discourse.* Oxford: Blackwell.
- Holmes, J.** (1995). *Women, men and politeness.* London: Longman.
- Once There Was a Girl. (2018). UnWomen. Retrieved from <https://saba.com.ge/reader/book/12916>

- Zipes, J.** (2012). The Cultural Evolution of Storytelling and Fairy Tales: Human Communication and Memetics. *The Irresistible Fairy Tale*. <https://doi.org/10.23943/princeton/9780691153384.003.0001>
- Zipes, Jack.** (1988a). *The Brothers Grimm*. New York: Routledge.

The sociolinguistic study of a fairy tale involves the exploration of social problems that society had to deal with in the period of the creation of the fairy tale. Consequently, the fairy tale as a social phenomenon reflects stereotypes ingrained in the community, including gender roles. Therefore, a fairy tale can be considered a treasury of sociolinguistic knowledge that allows us to analyse it from many different perspectives. Moreover, a fairy tale can be one of the first sources that shape a child's stereotypical expectations and prejudices regarding gender roles in society.

This presentation discusses two fairy tales: the Brothers Grimm's version of "Rapunzel" and a modern Georgian fairy tale "Heart of the Mountain". Based on the linguistic and sociolinguistic analysis of the texts, it can be maintained that in Rapunzel, as in an old, traditional fairy tale, a stereotypical attitude towards women is revealed. In this fairy tale, women are passive and associated with the household space. Besides, the women's appearance rather than their mental abilities is foregrounded and considered more important. In a modern fairy tale, however, an opposite situation is presented, female characters are independent, no longer need men to save them from problems. All this makes them much more active and adventurous.

### **References:**

- Bettelheim, B.** (1962). *The uses of enchantment: the meaning and importance of fairy tales*. New York: Vintage Books.
- Holmes, J.** (2006). *Gendered Talk at Work: Constructing Gender Identity through Workplace Discourse*. Oxford: Blackwell.
- Holmes, J.** (1995). *Women, men and politeness*. London: Longman.

Once There Was a Girl. (2018). UnWomen. Retrieved from <https://saba.com.ge/reader/book/12916>

**Zipes, J.** (2012). The Cultural Evolution of Storytelling and Fairy Tales: Human Communication and Memetics. The Irresistible Fairy Tale. <https://doi.org/10.23943/princeton/9780691153384.003.0001>

**Zipes, Jack.** (1988a). The Brothers Grimm. New York: Routledge.

ექსპრესიონიზმის პოეტიკა მ.ა. ბულგაკოვის  
ნოველისტიკაში

THE POETICS OF EXPRESSIONISM IN M.A. BULGAKOV'S  
NOVELISTICS

მაია თუხარელი

Maya Tukhareli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ნოველისტიკა, ექსპრესიონისტული  
ესთეტიკა, აბსტრაქციონიზმის ხარისხი, ირაციონალიზმი,  
მოდერნიზმი

**Keywords:** Novelistics, expressionist aesthetics, degree of abstraction,  
irrationality, modernism

ბ. ბულგაკოვის ნოველისტური მემკვიდრეობის შესწავლის პრობლემა დღესაც აქტუალური. მწერლის ნოველისტიკის, როგორც განსაკუთრებული მხატვრული ფენომენის, გამოყოფა, მისი მცირე ჟანრში შექმნილი ნამუშევრების მხატვრული თვითმყოფადობის გამოვლენა, ნოველისტიკის განხილვა მ. ბულგაკოვის „ექსპერიმენტულ პლატფორმად“, სადაც იხვეწებოდა მწერლის შემოქმედებითი მანერა, ბულგაკოვის, როგორც ნოველისტის, მხატვრული მეთოდის პრობლემის გამოკვლევა ეპოქის მთავარი მხატვრული ტენდენციების კონტექსტში – კვლავ იწვევს მეცნიერთა ინტერესს.

ნოველისტური ჟანრი იდეალურია ექსპრესიონისტული ესთეტიკის განსახიერებაში. სწორედ მისი „მობილური“, „მკვეთრი“, „ფეთქებადი“ ფორმის გამო, ნოველისტიკა საშუალებას იძლევა არა მხოლოდ აჩვენოს მსოფლიო წესრიგის დანამსხვრევა, არეულობა, არამედ ცდილობს მოძებნოს ამ „გატეხილი“ ყოფიერების გადაბმის კანონები. ქმნიან რა სამყაროს წარმოდგენით მსგავსებას, ექსპრესიონისტები ცდილობენ, გადაიტანონ აბსურდული და ალოგიკური დამოკიდებულება მხატვრული მთლიანობის წყობის ახალ პრინციპებზე. მხატვარი, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას რეალობისადმი, აფასებს მას და შეგნებულად სცილდება რეალობის გამოსახულების პირდაპირ კონსტრუქციას.

ექსპრესიონიზმის პოეტიკა ბულგაკოვის ადრეულ პროზაში აღწევს გარკვეული პრინციპების, მხატვრული მიდგომის, წარმოსახვისა და სტილის გამოყენების დონეზე. ამასთან, სამყაროს წარმოქმნის ეს მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ექსპრესიონისტული მოდელისგან. იქმნება განსაკუთრებული სისტემა, რომელიც ეფუძნება კონტაქტს კლასიკურ ტრადიციასთან. რეალობის შეფასება ვრცელდება ქვეტექსტის დონეზე. ბულგაკოვი პოლემიკაში შემოდის ლიტერატურულ სტერეოტიპებთან, ჩნდება აბსურდული, აპოკალიფსური კარნავალის მოტივი რეალური თეატრალური დეკორაციების არსებობით. ექსპრესიონისტულმა ესთეტიკამ სერიოზული გავლენა მოახდინა მ. ბულგაკოვის შემოქმედებაზე. მაგრამ მისი სტილის ექსპრესიულობის მიუხედავად, მ. ბულგაკოვს სხვა ექსპრესიონისტებისაგან აბსტრაგირების ნაკლებად გამოხატული ხარისხი განასხვავებს. სამყაროს ექსპრესიონისტული მოდელისგან სხვა განსხვავება მ. ბულგაკოვის მოთხრობებში არის დეფორმაციის



„ფარული“ პრინციპი, სამყაროს უფრო „მოქნილი“ სახე. მწერალი ხედავს ახალი რეალობის ფუნდამენტური ღირებულებების და-ყოფას. ირაციონალიზმის არჩევის მიუხედავად, მწერალი თავს არიდებს „სუფთა“ მოდერნიზმს. თავის ყველაზე „ირაციონალურ“ მოთხრობებშიც კი ის ყოველთვის მიჰყვება ობიექტურ რეალობას, ამუშავებს რეალისტური მოტივაციების სისტემას. მხოლოდ ამის შემდეგ, ამ საფუძველზე დაყრდნობით, მისგან ჩამოშორებით, ტრანსფორმირებით, მ. ბულგაკოვი ქმნის სამყაროს საკუთარ ნოველისტურ სურათებს. მ. ბულგაკოვის ნოველისტიკაში ფანტასტიკური და რეალური, ასახული და გარდაქმნილი, წამიერი და მარადიული ერწყმის ქეშმარიტების შეცნობის გზით. ამ საწყისების ურთიერთქმედებაზე აგებულია დინამიკური, უსასრულო ჰორიზონტით, მაგრამ სამყაროს ერთიანი სურათი, რომელიც აშკარად წარმოადგენს რეალობის შესახებ ავტორის ცოდნის განსახიერებას და მასზე ესთეტიკურ განსჯას.

### **ლიტერატურა:**

- ბულგაკოვის ენციკლოპედია/ ავტორი-შემდგენელი ბ.ვ.სოკოლოვი** – Bulgakovskaya encyclopedia/avtor-sostavitel B.V.Sokolov.(1996).[ Bulgakov's encyclopedia/ Author-compiler B.V.Sokolov], Moscow; LOKID-MIF.
- მიხენჩევა, ე., ბონდარევა, ნ.** – Mikhencheva, E., Bondareva, N.(2007). *Expresionizm v Rossii//Russkaia i zarubejnaia literatura nachala XX veka: Osnovnie techeniya.*[ Expressionism in Russia // Russian and foreign literature of the early XX century: Main trends ], Oriol.
- ტერიოხინა, ვ.** – Teriokhina, V.(2009). *Expresionizm v russkoiliterature pervoi treti XX veka: Genesis. Istoriko-literaturnii kontekst. Poetika.*[ Expressionism in Russian Literature of the First Third of the Twentieth Century: Genesis. ] IMLI RAN im. A.M. Gorkogo.

The problem of studying Bulgakov's novelistic heritage is still topical and promising. The problem of studying Bulgakov's novels as a special artistic phenomenon, revealing the artistic uniqueness of Bulgakov's works created in a small genre, considering the novels as an "experimental platform" of M. Bulgakov where the formation of the writer's creative style took

place, the study of the artistic method of Bulgakov-novelist in the context of the main artistic trends of the era are still of scientific interest.

The novelistic genre is ideal for the implementation of expressionistic aesthetics. By constructing a figurative semblance of the world, the expressionists attempt to shift the absurdity and illogic of all that's happening to the new principles of constructing an artistic whole. The artist first and foremost expresses his attitude to reality, evaluating it and consciously avoiding the straightforward construction of an image of reality.

Expressionist aesthetics had a serious influence on M. Bulgakov's creative work. But for all the expressiveness of style, M. Bulgakov is distinguished from the expressionists by a less pronounced degree of abstraction. Another difference from the expressionist model of the world in Bulgakov's short novels is the "veiled" principle of deformation, a more "flexible" image of the world.

The writer sees the disintegration of the fundamental values of the new age. While choosing irrationality, the writer nevertheless avoids "pure" modernism. Even in the most "irrational" stories he always initially follows the objective reality, develops a system of realistic motivations, only then, building on this basis, pushing away from it, transforming, M. Bulgakov creates his novelistic images of the world. In Bulgakov's novels, the combination of fantastic and real, reflected and transfigured, momentary and eternal, becomes a way of knowledge of the truth.

## References:

- Bulgakovskaya encyclopedia/avtor-sostavitel B. V. Sokolov** (1996). [Bulgakov's encyclopedia/ Author-compiler B.V.Sokolov], Moscow; LOKID-MIF.
- Mikhencheva, E., Bondareva, N.** (2007). *Expressionizm v Rossii//Russkaia I zarubejnaia literatura nachala XX veka: Osnovnie techeniya.* [ Expressionism in Russia // Russian and foreign literature of the early XX century: Main trends ], Oriol.
- Teriokhina, V.** (2009). *Expressionizm v russkoiliterature pervoi treti XX veka: Genesis. Istoriko-literaturnii kontekst. Poetika.*[ Expressionism in Russian Literature of the First Third of the Twentieth Century: Genesis. ]IMLI RAN im. A.M. Gorkogo.

აღმსარებლობა და ეთნიკურობა: ქართველ  
ებრაელთა და ქართველ მუსლიმთა  
იდენტობის კონსტრუირების მოდელები

FAITH AND ETHNICITY: IDENTITY CONSTRUCTION  
MODELS OF GEORGIAN JEWS AND GEORGIAN MUSLIMS

ქეთევან კაკიტელაშვილი

Ketevan Kakitelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** აღმსარებლობა, ეთნიკურობა, იდენტობა.

**Keywords:** Faith, Ethnicity, Identity.

მოხსენებაში განხილულია საქართველოში ნაციონალური იდენტობის ფორმირების ადრეული ეტაპი. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ფაქტორების ურთიერთმიმართების საკითხზე ქართული ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის პროცესში. საქართველოში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აქტუალიზებული ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტობების განსაზღვრის პროცესში დისკუსია უმთავრესად ფოკუსირებული იყო შემდეგ კითხვებზე: ვინ ვართ ჩვენ, ქართველები? ვინ არიან სხვები? რომელი ფაქტორები/მარკერები განსაზღვრავენ მიჯნას ჩვენსა და მათ შორის? ვინ და რის საფუძველში უნდა იყოს მიჩნეული, როგორც ჩვენიანი და სხვა?

იდენტობის კონსტრუირება კომპლექსური პროცესია. საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი კიდევ უფრო პრობლემური იყო ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების და, განსაკუთრებით, ქართული ეთნიკური ჯგუფის რელიგიური მრავალფეროვნების გამო. ამგვარად, არამართლმადიდებელი ქართველების ნაციონალური მიკუთვნებულობა განსაკუთრებით აქტუალური საკითხი იყო. გარდა ქართველი მუსლიმების, კათოლიკეებისა და გრიგორიანელებისა, ქართველი ებრაელების საკითხიც აქტიური განხილვის საგანი იყო. ამ კონტექსტში რელიგიის მნიშვნელობა ნაციონალური იდენტობის განსაზღვრაში სათუო გახდა. სანაცვლოდ, ყურადღება გამახვილდა საერთო ისტორიულ გამოცდილებსა და კულტურულ ფაქტორებზე (ენა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები).

კვლევა ეყრდნობა მე-19-20 საუკუნეების მიჯნის მრავალფეროვან საგაზეთო პუბლიკაციებს, რადგან იმ პერიოდისათვის გაზეთი ასახავდა არა მხოლოდ ინტელექტუალთა თვალთახედვას, არამედ წარმოაჩენდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ტენდენციებს.

The paper deals with the identity formation process in Georgia in its early stage and focuses on the interrelation of the ethnic, religious and cultural factors in the definition of Georgian national identity. From the second half of the 19th century, similarly to the other imperial spaces, the problem of definition of ethnic, religious and cultural identities actualized

in Georgia. The main goal of the discussions was to find answers to the following questions: who are We – Georgians? Who are the Others? What are the markers which determine the borderline between Us and Them? Who and on what basis should one be included or excluded? The formation of identity is a complex process. In the case of Georgia, the issue was even problematic due to the ethnic and religious diversity of the country and, moreover, because of a religious multiplicity of the Georgian ethnic group in itself. Thus, the issue of national belonging of the non-Orthodox Georgians – Georgian Catholics, Gregorians and Muslims actualized. Alongside these groups, the identity of the Georgian Jews came to the forefront as well. In this context, the decisive role of religion in defining national identity was questioned during intense debates, while the importance of the common historical experience and cultural factors like language, customs and traditions were underlined. The research is based on the analysis of various Georgian language press materials. A newspaper is an interesting source itself as it reflects not only on the ideas and positions of intellectuals but highlights the public opinion and tendencies of that period as well.



რანკე და ივანე ჯავახიშვილი  
RANKE AND IVANE JAVAKHISHVILI

მერაბ კალანდაძე  
Merab Kalandadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რანკე, ივანე ჯავახიშვილი  
Keywords: Ranke, Ivane Javakhishvili

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს, რა გავლენა მოახდინა დიდმა გერმანელმა ისტორიკოსმა ლეოპოლდ ფონ რანკემ გამოჩენილ ქართველ ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილზე. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილს ბრალს სდებდნენ, რომ რანკეანელი იყო. ეს აზრი გამოთქვეს პროფ. კარლო ორაგველიძემ და პროფ. ნიკო მახარაძემ. ეს მოსაზრება აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული აქვს. ეს არის წმინდა პოლიტიკური ბრალდება, რომელიც მიზნად ისახავს, გააშავოს ქართული საზოგადოების თვალში დიდი ივანე ჯავახიშვილი და ის წარმოაჩინოს, როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის სრულიად მიუღებელი ფიგურა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი. შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. საქმე ისაა, რომ ეს ივანე ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის, დამსახურება უფრო იყო, ვიდრე ნაკლი. ეს ერთი უკიდურესობა იყო. არსებობს სხვა უკიდურესობაც, რომელიც კატეგორიულად უგულებელყოფს რანკეს გავლენას ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირებაზე. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელი უნდა ჩანდეს. როგორც წესი, ქმედარტება სადღაც შუაშია. სასურველი იქნებოდა მოგვეძებნა ეს შუალედური გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ამ საკითხს უფრო დაბალანსებულად მიუდგეთ. მათ შორის, ვინც დიდი როლი შეასრულა ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირების პროცესზე, უდავოდ ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურად გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი, ლეოპოლდ ფონრანკე, გვევლინება. მან კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა ივანე ჯავახიშვილის, როგორც ევროპული ყაიდის მეცნიერის, ჩამოყალიბება. დიდი ივანე ჯავახიშვილის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის, ფორმირებაზე გავლენა მოახდინა ორმა გარემოებამ. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეს იყო ქართული რეალობა, მეორე – ევროპული ისტორიოგრაფია, რომლის მიღწევებსაც ის ახლოს გაეცნო გერმანიაში, სამეცნიერო მოვლინების დროს. მას მუშაობა უხდებოდა ისეთ დიდ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ ჰარნაკი, კარლო კრუმბახერი, ჰაინრიხ ბრიუნერი, კარლ ლამპრეხტი (რანკე



ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, ის 1886 წელს გარდაიცვალა 91 წლის ასაკში). საფიქრელია, რომ გერმანიაში მივლინების დროს ის ახლოს გაეცნობოდა რანკეს მეცნიერულ მემკვიდრეობას. ვფიქრობთ, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ რანკეს გავლენამ ივანე ჯავახიშვილზე ყველაზე რელიეფურად იჩინა თავი ქართველი ისტორიკოსის თეორიულ-მეთოდოლოგიურ შეხედულებებში, როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დანერგა ევროპული მეთოდი წყაროების კრიტიკული შესწავლა და ის დაუდო საფუძვლად საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევას. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და, პირველ ყოვლისა, ევროპული ისტორიოგრაფიის, რანკეს გავლენის გამოძახილია. მან, რანკეს მსგავსად, ისტორია თხრობას, რომელიც ძალიან ახლოს იყო სიტყვაკაზმულ ლიტერატურასთან და მის ერთ-ერთ ნაირსახეობად გვევლინებოდა, მეცნიერული ელფერი შესძინა და დააფუძნა წყაროების კრიტიკული განხილვის მეთოდზე. ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიის კვლევის ობიექტური მეთოდის გამოყენება საინტერესოა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და, პირველ ყოვლისა, ევროპული ისტორიოგრაფიის, კერძოდ კი, ლეოპოლდ ფონ რანკეს გავლენის ექოდ შეიძლება გაისმა. რანკე ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მხურვალე მომხრე იყო. ივანე ჯავახიშვილი, რანკეს მსგავსად, წარსულის ობიექტური აღქმის საკითხში ჰეგელის მომხრედ გვევლინება. ქართველი მეცნიერის ღრმა რწმენით, ისტორიკოსს შესწევს წარსულის ობიექტური აღქმის უნარი. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი ისტორიის „ტოტალური ობიექტურობის“ იდეის მომხრედ შეიძლება მოვიაზროთ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ხედვა სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. ივანე ჯავახიშვილის თვალში ჰეგელიანურმა მიდგომამ ხომ არ დაჩრდილა მეორე, უფრო პერსპექტიული და საინტერესო, ნეოკანტიანელთა თვალსაზრისი? ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება ფრიად აქტუალურად წარმოგვიდგენია. ივანე ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, ისტორიას საფუძვლად ედო სამი ფენომენი-რელიგია, ეკლესია და სახელმწიფო. საგულისხმოა, რომ ეს იდეა ლაიტმოტივად გასდევს რანკეს მთელ შემოქმედებას. ხომ არ გვაქვს საქმე რანკეს გავლენის კიდევ ერთ გამოვლინებასთან?

ამ მიმართულებით კვლევის გაღრმავება, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა. მაშ ასე, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებს შეხების წერტილები აქვს რანკეს შემოქმედებასთან, რაც, შესაძლოა, რანკეს გავლენის შედეგი იყოს. მან განუმტკიცა ქართველ ისტორიკოსს საკუთარი ძალების რწმენა, დაარწმუნა არჩეული გზის მეცნიერულ ფასეულობაში. გაუმყარა ის პოზიცია, რომელიც მას ეკავა. კატალიზატორის როლი შეასრულა და მძლავრი სტიმული მისცა მისი შეხედულებების ფორმირების პროცესს. ამიტომ რანკეს გავლენის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, ისევე, როგორც მისი გავლენის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის გამოცხადება რანკეანელად, როგორც ეს ხდებოდა 30-იან წლებში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. მათ შორის არსებობს სერიოზული განსხვავება, რომელზეც თვალის დახუჭვა ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ივანე ჯავახიშვილის რანკეანელობის გაბათილების მიზნით მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. დავიწყოთ იმით, რომ სერიოზული განსხვავება არსებობს რანკესა და ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას შორის. რანკეს სახით საქმე გვაქვს ტიპურ კონსერვატორთან, ხოლო ივანე ჯავახიშვილი უფრო ლიბერალური შეხედულებებისაკენ იხრება. რანკესგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილი არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის თხრობით. მას აინტერესებს სხვა მხარეები, სამართლის ისტორია, ეკონომიკური ისტორია და სხვა. რანკესგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო ევროპოცენტრისტული მიდგომა რანკესგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილისთვის უცხო იყო ძალის კულტი. ამრიგად, ივანე ჯავახიშვილის, როგორც ევროპული ყაიდის ისტორიკოსის, ჩამოყალიბების საქმეში გერმანელი ისტორიკოსის, ლეოპოლდ ფონ რანკეს, გავლენა გამორიცხულად არ მიგვაჩნია. მან კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირების პროცესი, განუმტკიცა რწმენა არჩეული გზის მეცნიერულ მნიშვნელობაზე. ამიტომ რანკეს როლის გადაჭარბება მიზანშეწონილი არ იქნება.

The paper is historiographic and aims to find out the influence of German historian Leopold von Ranke on the works of an outstanding Georgian scholar Ivane Javakhishvili. From this viewpoint, the paper is both interesting and topical. Ivane Javakhishvili was the first to introduce the European method in Georgian historiography. Javakhishvili's approach implied scientific criticism of historical sources. This outstanding scholar made the historical narrative scientific. This approach might have been influenced by Ranke. Apart from the common features, there are certain differences in the attitudes of the two scholars. Javakhishvili never confined his research to political history. Besides, his works were not Europocentric.



ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ მასალები  
კავკასიის შესახებ (1826-1828 წლები)

MATERIALS ABOUT THE CAUCASUS FROM THE  
MAGAZINE “EUROPEAN VESTNIK” (1826-1828)

დალი კანდელაკი

Dali Kandelaki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, რუსეთი, კავკასია, XIX საუკუნე  
**Keywords:** Georgia, Russia, Caucasus, XIX century

ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი“ მოსკოვში 1802-1830 წლებში გამოიცემოდა. 1805-1830 წლებში, ხანმოკლე შესვენებებით, ჟურნალის რედაქტორი იყო რუსი ისტორიკოსი, მთარგმნელი, კრიტიკოსი და გამომცემელი – მიხაილ ტროფიმის ძე კაჩენოვსკი. ჟურნალი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებთან ერთად რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან მოვლენებს, უცხო ქვეყნების ისტორიასა და პოლიტიკურ ცხოვრებას აშუქებდა. მის ფურცლებზე თავიდანვე ქვეყნდებოდა მასალები კავკასიის შესახებ. თემატურად ისინი მრავალფეროვანია – კორესპონდენციები, წერილები, ისტორიული ხასიათის ნარკვევები, ანალიტიკური შრომები და სხვ. მათი ავტორები არიან როგორც რუსი ეროვნების პირები, ისე უცხოელები. ზოგიერთი მასალის ავტორის ვინაობა გაურკვეველია.

1826 წელს ჟურნალ „ვესტნიკ ევროპიში“ კავკასიის შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა: კორესპონდენცია რუსეთ-ირანის ომის დაწყების შესახებ; ასევე, ცნობები კონრად მალტებრუნის ნაშრომ „მსოფლიო გეოგრაფიის ნარკვევებიდან“ და ფრანგული ჟურნალიდან „Jour. d. Deb.“ თარგმნილი სტატია „კავკასიის მიწების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ“. ავტორი რეგიონში რუსების მმართველობას ამართლებს და იწონებს მათ გატარებულ პოლიტიკურ კურსს. საინტერესოა ნიკოლაი პელტის ნაშრომი „საქართველოს ხედვა ისტორიულ და სტატისტიკურ ქრილში“. ავტორი რუსულ საზოგადოებას აძლევდა განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში ვაჭრობას რუსეთისათვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია და ფრანგების მსგავსად შემდგომი აქტიურობისაკენ მოუწოდებდა.

1827 წელს დაიბეჭდა უცნობი ავტორის, ჟურნალის კორესპონდენტის „რ-ი“-ს წერილი „თბილისიდან“, რომელშიც აღწერილია მისი უდიდებულესობის, იმპერატრიცა მარია ფეოდორის, ასულის დაბადების დღის საზეიმო აღნიშვნა თბილისში; ავტორი აღნიშნავს, რომ ამ რეგიონისთვის ასეთი ზეიმი აქამდე უჩვეული იყო.

1828 წელს ჟურნალის მე-7 და მე-8 ნომრებში გამოქვეყნდა იტალიელი გეოგრაფის, ადრიანო ბალბის, სტატია „კავკასიის ქვეყნების ენების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს თარგმანს 1826 წელს გამოცემული მისი ფრანგულენოვანი წიგნიდან – „მსოფლიოს ეთნოგრაფიული ატლასი“.

## ლიტერატურა:

- კანდელაკი, დ.** (2019). უცნობი კავკასია XIX საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. <http://eprints.tsu.ge/1588/1/Dali-Kandelaki-Unknown-Caucasus.pdf>
- Бальби А.** (1828). О языках страны Кавказской. Вестник Европы. 7. 166-181; 8. 241-260. <https://dlib.rsl.ru/viewer/60000085013#?page=166> <https://dlib.rsl.ru/viewer/60000085013#?page=241>
- Вестник Европы** (1826). Краткие выписки, известия и замечания. Ч. 149. 14. <https://dlib.rsl.ru/viewer/60000085000#?page=157>
- Мальте-Брюн К.** (1826). О нынешнем состоянии земель Кавказских. Вестник Европы. Ч. 150. 18. 116-133. <https://dlib.rsl.ru/viewer/60000085001#?page=116>
- Пельт Н.** (1826). Взгляд на Грузию в ее историческом и статистическом отношении. Вестник Европы. Ч. 150. 17. 52-68. <https://viewer.rusneb.ru/rsl/60000085001?page=52&rotate=0&theme=white>
- Р – ий.** (1827). Из Тифлиса. Вестник Европы, Ч. 156. 20. 293-296. <https://dlib.rsl.ru/viewer/60000085009#?page=301>

The magazine “European Vestnik” was published in Moscow from 1802 to 1830. From 1805 till 1830, with short breaks, the editor of the magazine was the Russian historian, translator, critic and publisher – Mikhail Trofimovich Kachenovsky. Along with the topics of literature and art, the magazine covered important events of Russia’s foreign and domestic policy, the history of foreign countries and their political life. From the very beginning, materials about the Caucasus were included on the pages of the magazine. They are thematically diverse – correspondences, letters, historical essays, analytical works, etc. Their authors were not only Russians but foreigners as well. The identity of the author of some of the materials is unknown.

The interesting materials were published in “European Vestnik” about the Caucasus in 1826: The correspondence on the start of the Russia-Iran war; also, references from Conrad Malte-Brun’s Works “Precise of universal geography” and the French magazine “Jour. d. Deb.” translated article “On the current state of the Caucasus lands”. The author justifies the rule of the

Russians in the region and praises their political course. There is another interesting work of Nikolai Pelt on the same matter – “The vision of Georgia in the scope of its historical and statistical relations”. The author was explaining and defining to the Russian society that trade in Georgia could have brought great benefits to Russia and encouraged to develop further activities as the French did.

The letter by an unknown author, the magazine’s correspondent “R-ii” “From Tbilisi”, was published in 1827, describing the solemn celebration of the birthday of her Majesty Empress Maria Feodorovna in Tbilisi; The author notes that such celebration was quite unusual for this region at that time.

In the 7th and 8th issues of the magazine, the article by the Italian geographer Adriano Balbi was published in 1828 with the title – “On the languages of the Caucasus”, which is a translation from his French-language book, “The Ethnographic Atlas of the World”, published in 1826.

## References:

- Bal’bi A.** (1828). O jazykah strany Kavkazskoj. Vestnik Evropy. 7. 166-181; 8. 241-260.
- [Balbi A. (1828). On the languages of the Caucasus. Bulletin of Europe. 7. 166-181; 8. 241-260]  
<https://dlib.rsl.ru/viewer/60000085013#?page=166>  
<https://dlib.rsl.ru/viewer/60000085013#?page=241>
- K’andelak’i, D.** (2019). utsnobi k’avk’asia XIX sauk’unis utskhouris ts’qaroebis mikhedvit. tbilisis universit’et’is gamomtsemloba. [Kandelaki, D. (2019).
- Unknown Caucasus.** Based on foreign sources of the XIX century. Tbilisi University Publishing House].  
<http://eprints.tsu.ge/1588/1/Dali-Kandelaki-Unknown-Caucasus.pdf>
- Mal’te-Brjun K.** (1826). O nyneshnem sostojanii zemel’ Kavkazskih. Vestnik Evropy. Ch. 150. 18. 116-133. [Malthe-Brune K. (1826). On the current state of the Caucasus lands. Bulletin of Europe. P. 150. 18. 116-133]  
<https://dlib.rsl.ru/viewer/60000085001#?page=116>
- Pel’t N.** (1826). Vzgljad na Gruziju v ee istoricheskom i statisticheskom otnoshenijah.
- Vestnik Evropy.** Ch. 150. 17. 52-68. [Pelt N. (1826). The vision of Georgia in the scope of its historical and statistical relations. P. 150. 17. 52-68].



<https://viewer.rusneb.ru/ru/rsl60000085001?page=52&rotate=0&theme=whi>

**R – ij.** (1827). Iz Tiflisa. Vestnik Evropy, Ch. 156. 20. 293-296. [R – ii. (1827). From Tiflis.

[Bulletin of Europe, P. 156. 20. 293-296]

<https://dlib.rsl.ru/viewer/60000085009#?page=301>

**Vestnik Evropy** (1826). Kratkie vypiski, izvestija i zamechanija. Ch. 149. 14. [Bulletin of Europe (1826). Brief extracts, news and remarks. P. 149. 14]

<https://dlib.rsl.ru/viewer/60000085000#?page=157>



ხაყანი შირვანელის პოეზიის ზოგი ასპექტის  
შესახებ: ქართული რეალიები

ON SOME ASPECTS OF KHAQANI SHIRVANI'S POETRY:  
GEORGIAN REALIA

მანანა კვაჭაძე  
Manana Kvachadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** შირვანი (შარვანი), ხაყანი, ქართული,  
რეალიები.

**Keywords:** Shirvan(Sharvan), Khaqani, Georgian, realia

საქართველოს მეზობლად, ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდებარე ისტორიული ქვეყნის, შირვანის (შარვანის), კულტურულმა ცხოვრებამ XII საუკუნეში მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია: განვითარდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება; საქართველოს სიუზერენობით გამოცოცხლდა მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთობანი; შირვანშაჰების კარზე ჩამოყალიბდა სერიოზული სპარსულენოვანი ლიტერატურული სკოლა. სასახლეში თავმოყრილ პანეგირისტთა შესხმა-ოდებში იკითხება შირვანშაჰთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ისტორიული ცნობა; აქვე იხატება ნათელი სურათი კარის პოეტთა როლისა და ხვედრის შესახებ.

ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ხაყანი – შირვანშაჰთა კარის პოეტი. ხაყანი შირვანელს მეხოტბე პოეტის მძიმე ხვედრი ერგო. მის შემოქმედებაში არის სასახლი სკარის ლირიკაცა და ციხის ელეგიებიც, სოფლის სამდურავიც, სუფი პოეტის ფილოსოფიური ჭვრეტაც. ხაყანის ყასიდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მუსიკალობით, ფორმის სირთულით; გადატვირთულია ფილოსოფიური ტერმინებით, რიტორიკული ფიგურებით, ისტორიული და ლიტერატურული რემინისცენციებითა და მინიშნებებით; ჩანს მისი განსწავლულობა რელიგიის, კერძოდ, ქრისტიანული თეოლოგიის სფეროში.

ცნობილია, რომ ხაყანი დედით ქრისტიანულ წრეებს უკავშირდებოდა და კარგად იცნობდა ქრისტიანულ სამყაროს. იგი კარგად იცნობდა საქართველოს, იცოდა ქართული ენა, მიმოწერა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან; პოეტის ლექსებსა და პირად წერილებში ასახულია მისი კონტაქტები საქართველოს სამეფო კართან, იგი ხშირად ახსენებს ბაგრატიონთა წარმომადგენლებს, მათ რეზიდენციებს; გვხვდება ქართული ტოპონიმები, ეთნონიმები, ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ტერმინები; ზოგჯერ ტექსტში ჩართულია ქართული სიტყვები და გამოთქმები, რომელნიც გართიმულია სპარსულ სიტყვებთან, რაც მეტად შთამბეჭდავ პოეტურ ეფექტს ქმნის. ქართულ რეალიებთან დაკავშირებულ საკითხთა გათვალისწინების გარეშე ძალზე რთულია, ზოგჯერ კი – შეუძლებელიც ხაყანის ტექსტის წაკითხვა.

ქართულ სამეცნიერო და მთარგმნელობით ლიტერატურაში აღნიშნულ პრობლემებს სათანადო ყურადღება ექცეოდა ყოველთვის, და ახლა, ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროთა კულტურული ურთიერთობისადმი გაძლიერებული ინტერესის ფონზე ხაყანის შემოქმედება კიდევ უფრო შთამბეჭდავად წარმოგვიდგება.

### **ლიტერატურა:**

- ბელარტი, ა.ლ.** – Beelaert A. L. (2012). *Kāqāni Šervāni*. Encyclopedia Iranica, vol. XV, pp. 521-529.
- კობიძე, დ.** (1975). ხაყანი. სპარსული ლიტერატურის ისტორია, 237-240, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მარი, ი., ჩაიკინი, კ.** – Marr, Yu., Chaikin, K., (1935). *Khaqani-Nezami-Rustaveli*, I, M.-L: Izdatelstvo Akademii Nauk SSSR.
- მარი, ი., ჩაიკინი, კ.** – Marr, Yu. Chaikin, K., (1966). *Khaqani-Nezami-Rustaveli*, II, Tbilisi: Metsniereba.
- ნუცუბიძე, შ.** – Nutsubidze Sh. (1947, 1967), *Rustaveli i vostochni renessans* [Rustaveli and The Oriental Renaissance], 303-323. Tbilisi, Izdatelstvo “Zarya Vostoka”.

The cultural life of Shirvan (Sharvan), Georgia’s neighbouring country located in the northeastern part of present Azerbaijan achieved significant development in the 12th century. Both towns and town lifestyles developed; in conditions of Georgia’s suzerainty, diverse relations were established. A significant Persian-language literary school was formed at the royal court of Shirvanshahs. The odes and eulogies composed by the royal panegyric poets provide ample historical data regarding the lives and activities of Shirvanshahs. Those literary works also provide information about the roles and fates of the royal poets.

An outstanding representative of this school is Khaqani – Shirvanshahs’ court poet and panegyrist. Khaqani got a heavy destiny of a panegyrist poet. His creative work includes both – court lyrics and prison elegies.

Khaqani’s poetry is interesting from diverse points of view. His poetry is distinguished by diversity, musicality, and complexity of form; it is rich in

philosophical terms, rhetoric figures, historical and literary reminiscences, and hints. He reveals his erudition; he appears to have a profound knowledge of religion, especially of Christian theology.

As it is known, on his mother's side Khaqani was related to the Christian community and he was well-acquainted with this world. He knew Georgia quite well, he knew the Georgian language and corresponded with Georgian nobility. The poet often mentions representatives of the Georgian royal dynasty – the Bagrationi and their residences. Georgian toponyms, ethnonyms, and terms related to Georgian culture are also frequent. In certain cases, the texts include Georgian words and expressions that are rhymed with Persian words and thus create an impressive poetic effect. Sometimes it is difficult – even impossible – to comprehend Khaqani's texts without considering the Georgian realia. Georgian scholarly literature and translation practice has always treated the above-mentioned problems with due attention and now with the increased interest toward Christian-Muslim relations Khaqani's work is even more impressive.

### **References:**

- Beelaert, A. L.** (2012), *Ḳāqāni Šervāni*. Encyclopedia Iranica, vol. XV, pp. 521-529
- Kobidze, D.** (1975), Khaqani. *Sparsuli Literaturis Istoria* [History of Persian Literature], 237-240. Tbilisi: Tbilisi Universiti Press.
- Marr, Yu., Chaikin, K.** (1935), *Khaqani-Nezami-Rustaveli, I*, M.-L.: Publishing House of Academy of Sciences of USSR.
- Marr, Yu. Chaikin, K.** (1966), *Khaqani-Nezami-Rustaveli, II*, Tbilisi: "Metsniereba".
- Nutsubidze, Sh.** (1947, 1967), *Rustaveli I Vostochni Renessans* [Rustaveli and The Oriental Renaissance]. Tbilisi: Publishing House "Zarya Vostoka".

ქართული ეკლესიები კვიპროსზე  
GEORGIAN CHURCHES IN CYPRUS

ვახტანგ ლიჩელი  
Vakhtang Licheli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

გიორგი გაგოშიძე  
George Gagoshidze

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტო  
National Agency for Cultural Heritage Preservation

**საკვანძო სიტყვები:** კვიპროსი, ღალის მონასტერი, ქართული  
ეკლესიები, ალამინოსისა და სოფტადესის წმ. გიორგის  
ეკლესიები, XIV-XVI სს

**Keywords:** Cyprus, Gialia Monastery, Georgian Churches Alaminos  
and Sopftades Churches of St. George, XIV-XVI cc

ჩვენი ექსპედიციის ძირითადი მიზანი ღალიას ქართული მონასტრის მეტოქიონების შესწავლა იყო. შესაბამისად, გამოკვლეულია ორი ნაეკლესიარი – ერთი ალამინოსის წმინდა გიორგის ეკლესია და მეორე- ასევე წმინდა გიორგის ეკლესია სოფტადესში.

გარდა წერილობითი წყაროებისა, ეკლესიების ქართველებთან კავშირის შესახებ ადგილობრივი ტრადიციაც მიუთითებდა. კუნძულ კვიპროსის სამხრეთ ნაწილში, ქ. ლარნაკას მუნიციპალიტეტში, ალამინოსის სამხრეთ-აღოსავლეთით 14 კმ მოშორებით, მდებარეობს მცირე გორაკი, რომლის თხემზეც შემორჩენილი იყო აფსიდის ნანგრევი. სამი სეზონის განმავლობაში ( რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი HE-17 43) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც მეექვსე საუკუნეშია აგებული და გადაკეთებულია რამდენჯერმე. ეკლესიის არსებობის ბოლო ეტაპი, XIV და XVI საუკუნეები შეესაბამება, ქართველი სასულიერო პირების აქ მოღვაწეობის პერიოდს. გარდა ბიზანტიური ხანის ნივთებისა ( თიხისა და მინის ნაწარმი, მონეტები), სოფტადესის ნაეკლესიარზე აღმოჩენილია კვიპროსულ-გეომეტრიული ხანის კერამიკული ნაწარმიც.

### **ლიტერატურა:**

**Licheli, V., Gagoshidze, G., Kasradze, M.** (2019). Georgian Churches in Larnaca district (Alaminos/Softades area, Cyprus). *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies* 29, pp. 9-43.

The main purpose of our expedition was to study methochions of Gialia/Galia monastery. Accordingly, we have studied two churches – one the Church of St. George of Alaminos and the other – also the Church of St. George in Saphtades.

The ruins of St. George Church in Alaminos (14th-16th cc) are situated in the southern part of Cyprus; Walls and floor were damaged and covered by mortar and marble stone, which were used also as grave walls; the interior of the church was covered by a wall painting, in altar, apse stood the church table based on a cylindrical column. Graves of the 14th-16th cc were



situated around and inside of the St. George Church.

Archaeological excavations on the Cyprus Island, in the village Sophtades, were carried out in 2017-19, within the grant of Shota Rustaveli national science Foundation (Code of the project- HE-17 43).

Sophtades Church is located 14 km S-E from Alaminos Church, on the top of a small hill.

Archaeological excavations over three seasons have revealed a three-nave basilica built in the sixth century and rebuilt several times. The last stage of the Church's existence in the 14th and 15th centuries corresponds to the activity of Georgian clergy here. In addition to Byzantine artifacts (clay and glass vessels, coins), Cypriot-geometric pottery has also been found.

### **References:**

**Licheli, V., Gagoshidze, G., Kasradze, M.** (2019). Georgian Churches in Larnaca district (Alaminos/Softades area, Cyprus). *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies* 29, pp. 9–43



რუსეთზე ფორმის სეგმენტაციასთან  
დაკავშირებული საკითხები

ISSUES RELATED TO THE SEGMENTATION OF THE WORD  
FORM RUSETUME (“RUSSIFIED GEORGIANS”)

მაია ლომია

Maia Lomia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთზე, სეგმენტაცია, თერგდალეულები,  
ასიმეტრია

**Keywords:** Rusetume, segmentation, tergdaleulebi, asymetry

ლექსიკური ერთეული რუსეთუმე ქართულში მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დამკვიდრდა. რუსეთუმეებად მოიხსენიებდნენ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც რუსეთში ჰქონდათ განათლება მიღებული, თუმცა საკუთარი ქვეყნისთვის სასარგებლოს ვერაფერს ქმნიდნენ და ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილი ყველაფერი იმის მიმართ, რაც იყო ეროვნული. ქართულში აღნიშნული ლექსიკური ერთეული თანდათან მნიშვნელობით დაუპირისპირდა ტერმინ „თერგდალეულებს“. „თერგდალეულები“, „რუსეთუმეებისაგან“ განსხვავებით, იყვნენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც რუსეთში მიღებულ განათლებას ეროვნული იდეების განსახორციელებლად იყენებდნენ. რუსეთუმე ფორმის სემანტიკასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, კომენტარი არსებობს. მოხსენებაში განვიხილავთ თითოეულ მათგანს და მოვიყვანთ არგუმენტებს ერთ-ერთის სასარგებლოდ.

### **ლიტერატურა:**

- დანელია, კ.** (1991). ზოგი რამ კოლხური ლექსიკის ისტორიიდან. ქართული ხალხური სიტყვიერება. ტ. II, 590-597. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISBN 5-511-00209.
- კარტოზია, გ.** (1997). ფიცის ნაწილაკები მეგრულში. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, 110-117. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. ISBN 5-520-01270-9
- ყიფშიძე, ი.** (1914). მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით (რუსულ ენაზე). სანქტ-პეტერბურგი: საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. ISBN 5-511-00588-6

In the middle of the 19th century, a lexical unit “rusetume” (“Russified Georgians”) appeared in Georgian. This term referred to young people who had studied in Russia did not care about the welfare of their country, and had a nihilistic attitude to everything national. After some time, this term in Georgian came into opposition with “Tergdaleulebi”. Unlike young people who were called “rusetume” (“Russified Georgians”), “Tergdaleulebi” used the education that they got in Russia in favour of the national ideas. There

are two differing comments in the scientific literature regarding the subject of the segmentation of the word form *rusetume* (“Russified Georgian”). In this report, we will discuss both of them and present the arguments in favour of one of them.

### **References:**

- Danelia, K.** (1991). *Zogi ram k'olxuri leksik'is ist'oriidn.* [A few things from the history of Colchian lexis]. *Georgian folk speech.* v. II, 590-597. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House”. ISBN 5- 511- 00209
- Kartozia, G.** (1997). *Picis nac'ilak'ebi megrulši.* [Particles of Swear in Megrelia]. “Terminological Investigations”. VI, 110-117. Tbilisi: Publishing House “Metsniereba”. ISBN 5-520-01270-9
- Kipshidze, I.** (1914). *Grammat'ik'a mingrelsk'ogo (iversk'ogo) yazika s chrest'omaty i slovorem.* [Grammar of Megrelian (Iberian) language with reading texts and dictionary]. S. Petersburg: Imperial Akademy of Sciences. ISBN 5-511-00588-6



გოეთეს პოეზიის რეცეფცია გალაკტიონის  
შემოქმედებაში

THE RECEPTION OF GOETHE'S POETRY IN THE WORKS  
BY GALAKTION TABIDZE

კოტე ლომიძე

Kote Lomidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** გალაკტიონ ტაბიძე, გოეთე, რევოლუცია  
**Keywords:** Galaktion Tabidze, Goethe, Revolution

გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულება რევოლუციისადმი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია. თუკი 1910-20-იან წლებში პოეტის იდეალია რევოლუციისაგან განმდგარი ხელოვანი, განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს მისი 1940-იანი წლების შემოქმედების შესწავლა. ეს საკითხი საინტერესოა იმითაც, რომ გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციისადმი ორივე (ურთიერთსაწინააღმდეგო) თვალსაზრისს გოეთესთან მიმართებით აყალიბებს.

გალაკტიონ ტაბიძე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს გამოუქვეყნებულ სტატიაში „წინასიტყვაობა“. აღნიშნული სტატია თარიღდება 20-იანი წლებით. ეს არის პერიოდი, როდესაც ახალი მომხდარია რევოლუციები და აქტუალურია საკითხი, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს პოეტს რევოლუციისადმი. გალაკტიონის ეს ჩანაწერი კიდევ ერთ საბუთს იძლევა რევოლუციისადმი მისი ნამდვილი მოსაზრების გასაგებად, გვეხმარება მისი ხელშეწყობითვე შექმნილი მითის რევიზიაში, თითქოს გალაკტიონი სიხარულით ეგებება რევოლუციას. გალაკტიონთან რევოლუციური პროცესებისგან გამდგარი პოეტის სახე გოეთეს ბიოგრაფიითაა ნასაზრდოები.

პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“ გალაკტიონი რევოლუციისადმი სიმპათიას ამჟღავნებს, რაც განპირობებულია ახალი პოლიტიკური ვითარებით. პოემა 40-იან წლებშია დაწერილი და ემჩნევა კიდევ კონიუნქტურის კვალი, თუკი ზემოთ გალაკტიონი გოეთეს რევოლუციისაგან განდგომილ პოეტად წარმოგვიდგენდა, ახლა იგი გერმანულ ავტორს რევოლუციისადმი ლოიალურად განწყობილად გვიხატავს.

### **ლიტერატურა:**

**ტაბიძე, გ.** (2016). თხზულებანი: 15 ტომად, I, თბილისი.

**ტაბიძე, გ.** (2016). თხზულებანი: 15 ტომად, III, თბილისი.

**ტაბიძე, გ.** (1967). თხზულებანი: 12 ტომად, V, „საბჭოთა საქართველო“.

**ტაბიძე, გ.** (2005). საარქივო გამოცემა 25 წიგნად, VIII, თბილისი: „ლიტერატურის მათიანე“.



Galaktion Tabidze's attitude towards the revolution is different at different stages of his creativity. If the poet's ideal in the 1910-20s is an artist from the revolution, a different situation is shown by the study of his work in the 1940s. This issue is also interesting because Galaktion Tabidze forms both (contradictory) views on the revolution concerning Goethe. Galaktion Tabidze discusses this issue in the published article "Foreword". This article dates back to the 20s. This is the period when new revolutions have taken place and the question of what attitude the poet should have towards the revolution is relevant. This record of Galaktion provides another document to understand his true views on the revolution, helping us to revise the myth created by his promotion as if Galaktion happily embraced the revolution. The face of the poet who emerged from the revolutionary processes with Galaktion is nurtured by Goethe's biography. In the poem "Talking about Lyrics", Galaktion expresses sympathy for the revolution, which is due to the new political situation. The poem was written in the 1940s and bears even traces of conjuncture, if above Galaktion was presented as a poet as an apostate from Goethe's revolution, now he portrays the German author as loyal to the revolution.

**References:**

- Tabidze, G.** (2016). Tkhzulebani 15 tomad. [The collected in 15 volumes], I, Tbilisi.
- Tabidze, G.** (2016). Tkhzulebani 15 tomad. [The collected in 15 volumes], III, Tbilisi.
- Tabidze, G.** (1967). Tkhzulebani 12 tomad. [The collected in 12 volumes], V, Tbilisi: Soviet Georgia.
- Tabidze, G.** (2005). Saarqivo gamotsema 25 ts'ignad. [Archival edition of 25 books], VIII, Tbilisi: Chronicle of Literature.



მიხა ხელაშვილის „ლეხსო ამოგთქომ“  
და მისი ფოლკლორული ფესვები

“THE POEM TO UTTER” BY MIKHA KHELASHVILI  
AND ITS FOLKLORISTIC ROOTS

ხვთისო მამისიმედიშვილი

Khvtiso Mamisimedishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მიხა ხელაშვილი, ფოლკლორი, ჩეჩენური  
სიმღერა

**Keywords:** Mikha Khelashvili, Folklore, Chechen song

გადმოცემები მიხა ხელაშვილის ბობოქარი ცხოვრების შესახებ, ისევე როგორც მისი ლექსების ნაწილი, საბჭოთა პერიოდში ზეპირად ვრცელდებოდა. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ფშავლებმა და ხევსურებმა მიხა ხელაშვილის ლექსები სიმღერებად აქციეს და მათ ფანდურის თანხლებით რელიგიურ დღესასწაულებსა თუ უბრალო საოჯახო ტრაპეზებზე დიდი მოწინებით ასრულებდნენ. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, რომ მისი ლექსები, რომლებსაც პოეტი ძირითადად ფშაურ დიალექტზე ქმნიდა, ახლოს იყო ფოლკლორთან და ხალხურ მოტივებთან. ის თემები და მოტივები, რომლებზეც მიხა ხელაშვილი წერდა, ხალხსაც აწუხებდა და იზიდავდა. მისი პოპულარობის მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ მიხა ხელაშვილი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი. მიხა ხელაშვილს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის გამორჩეულ მებრძოლს, ისეთი ცხოვრება და სიკვდილი ერგო წილად, როგორებიც გენიოსი მწერლების შემოქმედებაში დიდი ტრაგედიების სიუჟეტებად იქცევიან ხოლმე. ბოლშევიკების მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა 25 წლის მიხა ხელაშვილს სიცოცხლე ღალატით მოუსწრაფეს. ღალატი განსაკუთრებით შემზარავი იყო, რადგან მასში ახალგაზრდა პოეტის უახლოესი მეგობრებიც მონაწილეობდნენ.

პოეტის სახელის აკრძალვის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის პოეზია ზეპირად თუ წერილობით მკითხველამდე და მსმენელამდე მაინც აღწევდა. ის იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი. მისი ლექსები პირველად 1934 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შედგენილ ხალხური პოეზიის კრებულში ავტორის ვინაობის მითითების გარეშე დაიბეჭდა. საბჭოთა პერიოდში უაღრესად პოპულარული გახდა მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“, რომელსაც, როგორც ხალხურ ლექსს, ანსამბლ „ივერიის“ ცნობილი სოლისტი, თემურ ნიკლაური, ასრულებდა. ავტორის ვინაობის მითითებით მიხა ხელაშვილის ლექსები პირველად 1970 წელს დაიბეჭდა ალექსი ოჩიაურის მიერ შეკრებილ „ფშავ-ხევსურულ პოეზიაში“. კრებულში შესული იყო მიხა ხელაშვილის რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ლექსო ამოგთქმ“.

მიხა ხელაშვილის პოეტურ შედევრს – „ლექსო ამოგთქომ“ – სიღრმისეული პარალელები დაეძებნება ერთ-ერთ ჩეჩნურ ხალხურ სიმღერასთან „როცა ჩემს საფლავზე მიწა გაშრება“, რომელიც ლ. ტოლსტოიმ „შურისძიებისა და სილალის გამომხატველ საოცარ სიმღერათა“ რიცხვს მიაკუთვნა. ეს ძველი ჩეჩნური სიმღერა პირველად შეიტანა ი. პ. იპოლიტოვმა თავის პუბლიკაციაში „არღუნის ოლქის ეთნოგრაფიული ნარკვევი“, რომელიც დაიბეჭდა 1868 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამომავალ კრებულში „კავკასიის მთიელთა შესახებ“ (Сборник сведений о кавказских горцах).

მოხსენებაში ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული მეთოდის გამოყენებით განხილულია პარალელიზმები მიხა ხელაშვილის ლექსსა და ჩეჩნურ ხალხურ სიმღერას შორის.

### **ლიტერატურა:**

**იპოლიტოვი, ი.** – Ipolitov, I. (1868). Etnograficheskie ocherki Argunskogo okruga, Kavkazskie gortsy, Cbornik cvedenii o kavkazskikh gortsakh, vipusk I, Tiflis: Izdanie kavkazskogo gorskogo upravlenie. <https://kavkaznasledie.ru/?p=2930>

**ხელაშვილი, მ.** (2013). სიტყვა ლექსებად ნაქარგი, თბილისი, IMAK Printing Publishing Ataturk Cad, Istanbul.

In the Soviet period, the stories about Mikha Khelashvili's hectic life and his poems were spread by word of mouth. Mikha Khelashvili's poetry was particularly popular among the mountain peoples due to certain reasons. First, the poems the poet composed mainly in the Pshavi dialect were close to folklore and folk motifs. The topics and motives Mikha Khelashvili wrote about were a subject of interest and concern for people. Another reason for his popularity was that Mikha Khelashvili remained in the memory of the people as a hero who fought for the freedom of his homeland. Mikha Khelashvili, a prominent fighter of Kakutsa Cholokashvili's Band of Sworn Men, lived and died in such a way, which are often the themes of big tragedies in the works by genius writers. The killers hired by the Bolsheviks

betrayed 25-year-old Mikha Khelashvili and killed him. The betrayal was especially appalling as the young poet's closest friends were its accomplices.

Mikha Khelashvili's poetic masterpiece "The Ppoem to Uutter" has root parallels with one of the Chechen folk songs " The Eearth Wwill Ddry Uupon Mmy Ggrave", which L. Tolstoy attributed to the number of "wonderful songs expressing revenge and strength". This old Chechen song was first included by I. Ipolitov in his publication "Ethnographic Essay of the Arghun District", published in 1868 in Tbilisi, in Russian "Collection of data about Caucasian mountains" (Сборник сведений о кавказских горцах).

The paper uses historical-comparative and structural methods to analyze the parallels between Mikha Khelashvili's poem and the Chechen folk song.

### **References:**

- Ipolitov, I.** (1868). Etnograficheckie ocherki Argunskogo okruga, Kavkazskie gortsi, Cbornik cvedenii o kavkazskikh gortsakh, vipusk I, Tiflis: Izdanie kavkazskogo gorskogo upravlenie. <https://kavkaznasledie.ru/?p=2930>
- Khelashvili, M.** (2013). Sitqva leksebad nakargi [Words embroidered into verses], IMAK Printing Publishing Ataturk Cad, Istanbul.

**„ჩასწორებული“ პოეტური ტექსტები**  
**“CORRECTED” POETIC TEXTS**

**რუსუდან ნიშნიანიძე**  
**Rusudan Nishnianidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** „ჩასწორებული“ ტექსტები, დროის ინდექსი,  
ს. ბერეჟიანი, გ. გამყრელიძე

**Keywords:** “Corrected” texts, time index, S.Berezhiani, G.Gamkrelidze

დავსვათ კითხვა: რა შემთხვევაში ცვლის ავტორი დაწერილ ტექსტს. პასუხი არაერთი იყოს შესაძლოა; ეგებ, იმიტომ, რომ უკეთესის სურვილს იტოვებს, ან გარკვეული დროის შემდეგ სათქმელი მოძველებული ჰგონია და ე.წ. „ახალი სიცოცხლის“ სურვილი ამოძრავებს, ან კიდევ, ეს „ჩასწორება“ სრულიადაც არაა მისეული და მას ცენზორის ხელი ეტყობა.

უცხოეთში სათქმელი განსხვავებულად მიიღწევა. ამ ტექსტებში უმნიშვნელო არ გახლავთ ავტორ-პერსონაჟის ადგილი. თუკი მივყვებით ბიოგრაფიულ მოვლენებს, უმნიშვნელო არაა განვლილი შთაბეჭდილებით დაბადებული ლექსები, პოეტურად გახმიანებული ხმამაღალი ფიქრი. ლექსებში იმნუთიერი ემოცია თვალში საცემია. ამ სივრცეში არ არსებობს იდეოლოგიური ცენზორი; აქ ზუსტი შემფასებელი საკუთარი ნიჭი და სინდისია. თუმცა იმ პოეტურ ტექსტებს, რომელთაც წარმოვადგენ, რეალობის გაცნობიერებას დავარქმევდი. აქ დრო ასრულებს თავის გადამწყვეტ როლს. ამდენად, „ჩასწორებული“ ვერსია (სხვადასხვა აბზაცი თუ სტროფი) განსხვავებულ აზრობრივ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. თავიდან ეს ზოგადი სალექსო სიუჟეტია, შემდგომ შეცვლილ ვარიანტებს დროის ინდექსი ახლავს – როდის შეცვალეს. ისინი ავტორის სულიერ მდგომარეობას ფრთხილად და ვთქვათ ასეც, მიმანიშნებლად გადმოსცემენ.

განვიხილავ ემიგრაციაში, სხვადასხვა ქალაქში (ბერლინი, პარიზი, სანტიაგო დე ჩილე), გამოცემული რამდენიმე ავტორის (სიმონ ბერეჟიანი, გიორგი გამყრელიძე) დაბეჭდილ ლექსებს და, შესაბამისად, მოგვიანებით უკვე სხვა გაზეთსა თუ წიგნში დასტამბულ „ჩასწორებულ“ ტექსტებს.

ზოგადად, ემიგრანტული პოეზია ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მით უფრო მათი ვარიანტები. მოძიება და ლიტერატურული კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მხატვრული თვალთახედვით, არამედ სამეცნიერო თვალსაზრისითაც.

### **ლიტერატურა:**

**ბერეჟიანი, ს.** (1937). გურიას, გაზ. „ქართლოსი“, 1.



**ბერეჟიანი, ს.** (1943). ნანერები, ბერლინი.

**ბერეჟიანი, ს.** (1982). ლექსები, პარიზი.

**გამყრელიძე, გ.** (1932). ლურჯი მონოკლი, პარიზი.

**გამყრელიძე, გ.** (1960). გვიანი რთველი, სანტიაგო დე ჩილე.

The answers to the question, in what case does the author change the written text, may be numerous. For instance, the author may have wanted to do better, or after some time, he may have thought the text to be outdated and was driven by the so-called desire to give his work a “new life”, or even, this “correction” may not have been made by the author but by a censor. Things are said differently abroad. The place of the author-character is not insignificant in these texts. If we follow the biographical events, the poems are not insignificant, the poetically voiced thinking is insignificant. The momentary emotion is striking. There is no ideological censor in this space. Here the exact evaluator is the writer’s talent and conscience. However, I would call the poetic texts I present “awareness of reality”. Here time plays a crucial role. Thus, the “corrected” version (different paragraphs or stanzas) is a different interpretation. At first, this is a general text story, then the modified versions are accompanied by the indication of the time they were changed. They convey the author’s spiritual condition carefully and so to speak, as a reference.

In this paper, I discuss the poems published by several authors (Simon Berezghiani, Giorgi Gamkrelidze) published in emigration, in various cities (Berlin, Paris, Santiago de Chile) and the “corrected” texts published in other newspapers or books.

In general, immigrant poetry is less known to the general public, especially its variants. Finding, analyzing and exploring them from the literary standpoint, is important not only from an artistic point of view but, also, from a scientific point of view.

## **References:**

**Berezghiani, S.** (1937). Gurias [Guria] news. „Karlasi”,1.

**Berezhiani, S.** (1943). Nawerebi [Writings], Berlin.

**Berezhiani, S.** (1982). Leqsebi [Poems], Paris.

**Gamkrelidze, G.** (1932). Lutji Monocli [Blue Monocle], Paris.

**Gamkrelidze, G.** (1960).Gviani Rtveli [Late Vintage], Santiago de Chile.

**პურცხობასთან დაკავშირებული ერთი  
მეტაფორული ზმნის („შეაცოლქმარებს“ –  
შესახებ**

**ON A METAPHORIC VERB („შეაცოლქმარებს“ –  
“ŠEACOLKMAREBS” “WEDS”) RELATED TO BAKING**

**სალომე ომიადე**

**Salome Omiadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მეტაფორა, მეტაფორული ზმნა,  
ქართული დისკურსი

**Keywords:** Metaphor, metaphoric verb, Georgian discourse

მეოცე საუკუნის ბოლომდე მეტაფორას თუ მხოლოდ გამოხატვის საშუალებად მიიჩნევდნენ და ტროპის სახედ განიხილავდნენ, ოცდამეერთე საუკუნის კვლევებში იგი შემეცნების ერთ-ერთ ძირითად ხერხადაა კვალიფიცირებული. სამყაროს მეტაფორულ ხედვას თანამედროვე ფსიქოლოგები ადამიანის, ადამიანური კულტურის გენეზისს უკავშირებენ და სავსებით შესაძლებლად ესახებათ მოსაზრება, რომ თვით პროტოენა იყო მეტაფორული, ხოლო პროტოკომუნიკაცია მეტაფორულ დონეზე ხორციელდებოდა. სწორედ აღნიშნულ დებულებას ავითარებს ცნობილი მეტაფორული გამონათქვამი „ჩვენი ენა გაცვეთილ (/გაყინულ/მკვდარ) მეტაფორათა სასაფლაოა“.

მეტაფორები ცნობიერების უნივერსალიებია და, ამდენად, მათი გამოყენების არე პოეტური ტექსტებით ვერ იქნება შემოსაზღვრული. სხვადასხვა დროის ქართულ ყოფით დისკურსზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მეტაფორულობით იგი მხატვრულ დისკურსს არ ჩამოუვარდება, რის მაგალითადაც განვიხილავთ პურცხობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ლექსემას – „შეცოლქმარებას“ – რომელიც წყლისა და ფქვილის შერევა-შეერთებას, ცომად ქცევას აღნიშნავს.

ქართულში კომპოზიტ ცოლ-ქმრის დერივაციული ველი ვინ-როა, მისგან ნაწარმოები სიტყვები (ცოლქმრობა, ცოლქმრული // ცოლქმრობითი), ძირითადად პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, რაც შეეხება განსახილველ ზმნურ ფორმას „შეაცოლქმარებს“ (‘წყალსა და ფქვილს შეაერთებს’), იგი, როგორც ყველა მეტაფორული ერთეული, მნიშვნელობის გადატანისას ფიქციურობის პრინციპს ემყარება და ანალოგიის მექანიზმითაა შექმნილი. ფიქციურობა წყლისა და ფქვილის შეცოლქმარება ანუ ცოლ-ქმრად ქცევაა, ანალოგიას კი ქართული ეროვნულ-კულტურული მსოფლხედვა ქმნის, რომელიც უმეტესწილად ქრისტიანულია და, რომლის მიხედვითაც, ქორწინება ორის, ცოლისა და ქმრის, ერთ განუყოფელ არსებად – „ერთ ხორც და ერთ სულ“ – გადაქცევაა.

მოხსენებაში, მასალის („მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის (საჭმელსასმელი)“, გ. შატბერაშვილი, „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, ნ. შატაიძე, „პურის მოთხრობა“, თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“) ანალიზის შედეგად,

ვრცლად ვისაუბრებთ მნიშვნელობის გადატანის საკრალურ საფუძველზე: პურზე, როგორც საკულტო რეალიაზე; პურცხოებაზე, როგორც რიტუალურ ქცევაზე; ქორწინებაზე, როგორც შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთზე.

## **ლიტერატურა:**

**ბეროზაშვილი, თ., მესხიშვილი, მ., ნოზაძე, ლ. (1981).** ქართლური დიალექტის ლექსიკონი: მასალები. თბილისი: „მეცნიერება“.

**შათაიძე, ნ. (2010).** შეხვედრა: რჩეული, 206-258. თბილისი: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“.

**შატბერაშვილი, გ. (1975).** თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV, თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

Until the end of the twentieth century, the metaphor was viewed as a means of expression and a stylistic device. However, scholars of the twenty-first century qualify it as one of the key means of cognition. Contemporary psychologists relate a metaphoric world vision to human cultural genesis. According to a widespread opinion, proto-language itself was metaphorical, and proto-communication was carried out on the level of metaphor. This opinion is enhanced by a famous metaphoric quotation: “Our language is a graveyard of trite (/frozen/dead) metaphors”.

Metaphors are universals of consciousness. Therefore, the area of their usage is not confined to poetic texts. Observation of Georgian cultural discourse of different epochs proves that it does not fall behind literary discourse in its metaphoric nature. In this regard, the given paper analyzes one lexeme related to bread-baking – „შეცოლქმარება“ “šecolkmareba” (lit. joining husband and wife) – which implies mixing water and flour to make dough.

In Georgian, the derivational field of the compound ცოლ-ქმარი “col-kmari” (wife and husband) is quite narrow. The derived words (ცოლქმრობა “colkmroba” (matrimony), ცოლქმრული “colkmruli” // ცოლქმრობითი “colkmrobiti” (matrimonial) are usually used in the direct sense. As for the verb form „შეაცოლქმარებს“ “šeaclkmarebs” (‘will mix water with flour’),

like other metaphoric units, it is based on the fictional principle and is created employing analogy. The fictional nature is revealed in the marriage between water and flour, whereas the analogy is based on the Georgian national culture and mentality, which is largely Christian, hence, marriage is viewed as the transformation of wife and husband into one indivisible creature – “one flesh and one soul”.

The paper presents a detailed analysis of the sacral basis of the given metaphor and focuses on bread as a cult realia, bread-baking as ritual behaviour, as well as matrimony, which is one of the seven sacred mysteries.

### **References:**

- Berozashvili, T., Meskhishvili, M., Nozadze, L.** (1981). Dictionary of Georgian Dialects: Materials. Tbilisi: “Metsniereba”.
- Shataidze, N.** (2010). Meeting: Rcheuli, 206-258. Tbilisi: “Georgian Biographical Center”.
- Shatberashvili, G.** (1975). Essays in Four Volumes, Vol. IV, Dictionary of Georgian Dialects. Tbilisi: “Soviet Georgia”.

საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და  
საფრანგეთის სამხრისი მოლაპარაკებები  
1939 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში და მათი  
ჩაშლის მიზეზები

THE ANGLO-FRANCO-SOVIET TRIPARTITE TALKS IN  
SPRING AND SUMMER OF 1939 AND THE CAUSES OF  
THEIR FAILURE

თეიმურაზ პაპასკირი

Teimuraz Papaskiri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მეორე მსოფლიო ომი, „კოლექტიური  
უსაფრთხოება“, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი,  
საფრანგეთი

**Keywords:** World War II, “Collective Security,” Soviet Union, Great  
Britain, France

1939 წლის მარტში გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის სრულად დაკავებამ ახალი პოლიტიკური სიტუაცია შექმნა ევროპაში. შედეგად, დაიწყო მოლაპარაკებები დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ ისინი წარუმატებლად დასრულდა. მხარეებმა ამაში ერთმანეთი დაადანაშაულეს. საბჭოთა მხარის თქმით, საფრანგეთისა და, პირველ რიგში, ინგლისის დელეგაციებს არ გააჩნდათ შესაბამისი უფლებამოსილებები ხელშეკრულების გასაფორმებლად. თავის მხრივ, ინგლისელებმა საბჭოთა კავშირი დაადანაშაულეს არაგულწრფელობაში და პარალელურად გერმანიასთან მოლაპარაკებების წარმოებაში. იმავედროულად, მოლაპარაკებების ჩაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულ იქნა კონსულტაციების პერიოდში. სსრ კავშირი ითხოვდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს და ჯარების განთავსებას პოლონეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე. უკანასკნელ ხანებში, დასავლეთში გაჩნდა თვალსაზრისი, რომ საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურდა ე.წ. „კოლექტიური უსაფრთხოების“ სისტემის შექმნა და რომ ამის ჩაშლის მიზეზი სწორედ ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელების ანტიკომუნიზმი და სსრკ-სადმი უნდობლობა იყო. მართალია, ნევილ ჩემბერლენსა და ედუარდ დალადიეს ნამდვილად გააჩნდათ მსგავსი დამოკიდებულება, მაგრამ ყველა არსებული წყაროს გააზრებისა და სწორი ანალიზის შემთხვევაში, ნათელი ხდება, რომ სინამდვილეში საბჭოთა ლიდერ იოსებ სტალინს საკუთარი მიზნები გააჩნდა და ის მხოლოდ იმ მხარესთან გააფორმებდა ხელშეკრულებას, რომელიც მის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებდა. ასე რომ, ე.წ. „კოლექტიური უსაფრთხოების“ სისტემა სინამდვილეში უბრალოდ საბჭოთა პროპაგანდა იყო და რეალურად სტალინი ამით დაინტერესებული არ იყო. მის რეალურ მიზანს, რომელიც მდგომარეობდა სურვილში, გაესაბჭოებინა მთელი მსოფლიო, გერმანიასთან ალიანსი ბევრად უფრო მეტად შეესაბამებოდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სტალინის მიერ 1939 წლის 19 აგვისტოს სკკპ ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან, რომელსაც შედეგად მოჰყვა 20 აგვისტოს მოლაპარაკებების დასრულება ინგლისსა და საფრანგეთთან და 23 აგვისტოს პაქტის გაფორმება გერმანიასთან.



## ლიტერატურა:

- პაპასქირი, თეიმურაზ** (2006). საბჭოთა პოლიტიკა ჩეხოსლოვაკიის მიმართ 1938წ. სუდეტის კრიზისის დროს, „საისტორიო ძიებანი“, ტ. VIII-IX, 375-398.
